# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკვარტისიბაგე ესაძაგლესია.

სამშაბათი-ხუთშაბათი, 16-18 აგვისტო. 2022 წ. №119-120 (9457-9458) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## ეს იქნება კავკასიის დიდი ომი!

4

მაინცდამაინც საქართველოს რატომ მიადგნენ ასე!..

## ქართველები და აფხაზები... ვინ – მეტი, ვინ – ნაკლები?

8

## უსაქართველოდ მკერდმოჭრილი ამორძალი...

**დაეშვით მიწაზე!**

## საქართველო ისევ დიდი განსაცდელის წინაშეა!

3

მივმართავ ყველას, ვინც რეალურად არ დაუშვებს ჭინკებისა და ქაჯების მიერ ბრბოს აყოლიებას!

7

## გვეამაყები, იზეტა!

## „მომავლის ბიჭის“ – ნიკო კვარაცხელიას აღიარება

12

# გლობალური ჭირი მოსკოვიდან

# რუსეთი და სამხრეთ კავკასია: ძალა პრესტიჟის გარეშე!

**1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შენარჩუნებას ფართო ევრაზიულ ჭრილში განიხილავს – დარჩეს მთავარი ძალა იმ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელიც ერთ დროს საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა. კოლექტიურ დასავლეთთან მეტოქეობა, დიდი ძალის სტატუსის შენარჩუნების (აღდგენის) სურვილი და, რაც მთავარია, მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგისკენ სწრაფვა, ეს არის ის საგარეო პოლიტიკური ელემენტები, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ ამბიციებს აყალიბებს.**

**თუმცა მოსაზრება, რომ რუსეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიაში ურყევია და რომ რეგიონი ისევ მოსკოვის ექსკლუზიური გავლენის ქვეშაა, გადახედვას საჭიროებს. მიდგომა უფრო ნიუანსური უნდა იყოს. საჭიროა რეგიონის უფრო გლობალურ ჭრილში განხილვა, რათა დავინახოთ, როგორ ევოლუციას განიცდის მოსკოვის გავლენა და რა პერსპექტივები აქვს იმ გეოპოლიტიკურ წესრიგს, რომლის აშენებასაც კრემლი ცდილობს.**

სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობაში რუსეთისთვის გეოგრაფია კრიტიკულ როლს ასრულებს. კავკასიის ქედი წარმოადგენს ერთადერთ დიდ გეოგრაფიულ ბარიერს, რომელიც რუსებმა იმპერიის შენების გზაზე გადალახეს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთს, ნაცვლად იმისა, რომ სამხრეთით იმპერიული ექსპანსია წამოეწყო, მარტივად შეეძლო ჩაკეტილიყო კავკასიონის ჩრდილოეთით და სამხრეთ კავკასია ბუფერულ ზონად გამოეყენებინა. პრორუსულად განწყობილი ქართული და სომხური ქრისტიანული მონარქიების გაძლიერება ისლამური სამყაროს წინააღმდეგ ბუფერულ ზონად გამოდგებოდა. თუმცა შავი ზღვის სანაპიროებზე გაბატონების სურვილი და სამხრეთით სავაჭრო გზებზე გასვლის ამბიციები რუსეთს სამხრეთ კავკასიაში ექსპანსიისკენ უბიძგებდა.

დღეს, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დომინირებას უფრო ფართო ევრაზიულ ჭრილში განიხილავს. მიუხედავად ამისა, მოსკოვს ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია რეგიონისადმი საგარეო პოლიტიკის რაიმე ოფიციალური დოკუმენტი. დაწერილი სტრატეგიის არქონა, მრავალი თვალსაზრისით, საშუალებას აძლევს რუსეთს განავითაროს საკმაოდ მოქნილი საგარეო პოლიტიკა. მოსკოვს შეუძლია ერთ შემთხვევაში მიმართოს სამხედრო ძალას, მეორეში კი დიპლომატიას, ან ეკონომიკურ სანქციებს. რუსეთის მიზნები საკმაოდ თანმიმდევრულია: სამხრეთ კავკასიაში ლიდერობის განმტკიცება და გარე აქტორების (ძირითადად, დასავლეთის) განდევნა.

რუსეთისთვის, სივრცეში, რომელიც ოდესღაც საბჭოთა კავშირს შეადგენდა, დომინირება აუცილებელი პირობაა მრავალპოლუსიან სამყაროში დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ ცენტრად პოზიციონირებისთვის. თუმცა ამის მიღწევა სულ უფრო რთულდება. რუსეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ევოლუციას განიცდის და ხშირად ახალ რეალობასთან მისადაგება მეტად ურთულდება. თუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია, ძირითადად, რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების კონტექტში განიხილებოდა, დღეს, ვითარება ბევრად უფრო კომპლექსურია. რეგიონში ერთდროულად რამდენიმე ძალა არის ჩართული. აშშ, თურქეთი, ირანი, ჩინეთი, ევროკავშირი და რუსეთი – ეს ძალები გასხვავდებიან სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით, მაგრამ 1990-იან წლებთან შედარებით ყველა მოთამაშე ბევრად აქტიურად არის ჩართული რეგიონის პროცესებში.

იხ. 2 გვ.



# ველოდებით 300 000 ტონა ყურძენს!

## მთავრობა რთველს წელსაც დაასუბსიდირებს

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სახელმწიფო მევენახეებს წელსაც მაქსიმალურ მხარდაჭერას აღმოუჩენს.

**„პროცესში ღვინის 300-მდე კომპანია ჩაერთვება. ჩვენ მათთან სრული კოორდინაცია გვაქვს. შექმნილია რთველის საკოორდინაციო შტაბი, რომელიც უკვე მუშაობს. ჩვენ წელს რეკორდულ მოსავალს ველოდებით — დაახლოებით, 300 000 ტონა მოსავალს. ეს რეკორდული მაჩვენებელია. ყველა გამოწვევისა და ფაქტორის გათვალისწინებით, წელსაც, რა თქმა უნდა, სუბსიდირება გაგრძელდება. ჯამურად, მთავრობას სუბსიდირება დაახლოებით 150 მილიონი ლარი დაუჯდება“.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, დღეს დარგში 25 000-მდე მევენახეა ჩართული, რაც მათი ოჯახების გაძლიერებას, მეტ შემოსავალსა და კეთილდღეობას ნიშნავს.

# ივლისში ტურიზმის შემოსავლებმა 2019 წლის მონაცემს გადააჭარბა

**ივლისში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 476 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ით მეტია,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**„გვაქვს შემოსავლების რეკორდული მაჩვენებელი. კერძოდ, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 476 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 20%-ით მეტია, ხოლო თუ ჩვენ ამას 2021 წლის მაჩვენებელს შევადარებთ, ეს 130%-ით მეტია. ჯამში, იანვარ-ივლისში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1,618 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა. ამით მაღალი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია ივლისშიც შენარჩუნდა, რაც სასიხარულოა.

# საქართველოს რკინიგზამ 2022 წლის პირველი ნახევარი რეკორდული, 161 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

**პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩვენი დერეფნის მიმართულებით უფრო მეტი ტვირთი მოიმართა და შესაბამისად, გადაზიდვების მოცულობამაც მოიმატა.**

# რუსეთი და სამხრეთ კავკასია: ძალა პრესტიჟის გარეშე!

(პირველი გვერდიდან)

სამხრეთ კავკასია უფრო „გლობალური“ გახდა, იქნება ეს ეკონომიკური კავშირებით, ინფრასტრუქტურით თუ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სამხედრო თანამშრომლობით სხვადასხვა გლობალურ მოთამაშესთან.

აღნიშნული პროცესი მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრების გამოძახილია. მსოფლიო ნელი ტემპებით მრავალპოლუსიან სივრცედ ყალიბდება. აზია დიდ ეკონომიკურ ძალას იძენს, რაც მის ცალკეულ მოთამაშეში (ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი და სხვ.) სამხედრო პოტენციალში გადაიზრდება. მართალია ოცდამეერთე საუკუნე აშშ-ის და ჩინეთის დაპირისპირების ხანა იქნება და მათ გარშემო ბევრი პატარა ქვეყანა შეიკვრება, ევრაზიაში ასევე იარსებებს სხვა რამდენიმე გეოპოლიტიკური ცენტრი. ინდოეთი, თურქეთი, ირანი და რუსეთი შეეცდებიან თავის გარშემო გავლენის სფეროების აგებას. იქ, სადაც ეს გავლენის სფეროები გადაიკვეთება (მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში), ორი ან მეტი რეგიონალური ძალა ახალი წესრიგის აგებას შეეცდებიან, რომელიც რეგიონალიზმის (არარეგიონალური ძალების, ანუ დასავლეთის განდევნა) პრინციპზე იქნება დაფუძნებული.

**ამრიგად, დღეს, სამხრეთ კავკასია რუსეთ-დასავლეთის ორთაბრძოლის პარადიგმას გაცდა და უფრო გლობალური დაპირისპირების სივრცედ ჩამოყალიბდა. ეს პირდაპირ ურტყამს რუსეთის ისტორიულ ამბიციებს. რუსეთი ამ რეგიონს, იძენდა ეს რომანოვების თუ მოგვიანებით ბოლშევიკების დროს, ექსკლუზიურად მართავდა. დღეს მას ამ ექსკლუზიურობაზე უარის თქმა უწევს.**

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც რუსეთი ეჯახება სამხრეთ კავკასიაში, არის ამ რეგიონის ხელახალი მჭიდრო ურთიერთკავშირი მახლობელ აღმოსავლეთთან. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ იმით, რომ რეგიონში რუსეთი გაბატონდა, არამედ იმითაც, რომ, ფაქტობრივად, მოხდა სამხრეთ კავკასიის მახლობელი აღმოსავლეთისგან პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ჩამოშორება. ეს პროცესი მეტად გამძაფრდა საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც საზღვრები ირანთან და თურქეთთან პრაქტიკულად ჩაკეტილი იყო.

1990-ანი წლებიდან და განსაკუთრებით კი ბოლო რამდენიმე წელიწადში სამხრეთ კავკასია სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება მახლობელ აღმოსავლეთს. გეოგრაფიულად ეს ორი რეგიონი უფრო ახლოსაა და ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს, ვიდრე რუსეთი და სამხრეთ კავკასია. ისტორიულად კავკასიონი გადაულახავ ბარიერს წარმოადგენდა ევრაზიის სტეპებსა და სამხრეთ კავკასიას შორის, რაც არა მარტო ვაჭრობას, არამედ ახლო კულტურულ ურთიერთობებს ზღუდავდა. მახლობელი აღმოსავლეთი კი ის სივრცეა, რომელთანაც სამხრეთ კავკასიას ათასწლეულების განმავლობაში ყველა სახის მჭიდრო კონტაქტი გააჩნდა.

იქნება ეს სირიის სამოქალაქო ომი და სამხრეთ კავკასიიდან წასული მეომრების საკითხი, თურქეთ-აზერბაიჯანის ენერგო და სამხედრო თანამშრომლობა, თუ ირან-სომხეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტები, სამხრეთ კავკასია დღეს, უბრუნდება იმ ისტორიულ ნორმას, რომელიც ამ რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი. რეგიონის ისტორიაში ეგრეთწოდებული „რუსული პერიოდი“ სრულდება და ხელახლა იწყება სამხრეთ კავკასიის მახლობელ აღმოსავლეთთან მჭიდრო დაკავშირება.

**რუსეთს თავისი დაკნინებული პოზიციების დასაცავად სულ უფრო მეტად ესაჭიროება ხისტი პოლიტიკის გატარება. მართლაც, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სამხედრო ელემენტზე აქცენტის გაკეთება მკვეთრად გაიზარდა. სამხრეთ კავკასია არ წარმოადგენს დიდ რეგიონს და მაინც მასზე კონტროლის დასამყარებლად მოსკოვს ოთხი სამხედრო ბაზის ყოლა ესაჭიროება. მსოფლიოში რთულად მოიძებნება რომელიმე სხვა ასეთი მაღალი სამხედრო კონცენტრირების მქონე პატარა გეოგრაფიული სივრცე.**

დიდი მოთამაშის მიერ საგარეო პოლიტიკაში სამხედრო ელემენტის წინ წაწევა კი უფრო სისუსტის გამოხატულებაა, ვიდრე უპირატესობის. რუსეთმა პრაქტიკულად დაკარგა ის პრესტიჟი, რომლითაც ის სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე მოახერხებდა საკვანძო პრობლემების მოგვარებას. ეს კარგად ჩანდა 1990-იან წლებში, როდესაც ვერ მოხერხდა საქართველოსთან ურთიერთობების ისე დალაგება, რომ თბილისს უარი ეთქვა ნატოსა და ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობაზე, ხოლო 2008 წელს საქართველოში შეჭრის გარეშე გადაეწყვიტა არსებული ორმხრივი პრობლემები. კიდევ ერთ კარგ მაგალითს წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის საკითხი. 2020 წელს დაახლოებით 2000-მდე რუსი სამშვიდობოს ჩაყენებას კონფლიქტის ზონაში თითქოს უნდა დაემშვიდებინა არსებული ვითარება, თუმცა მოხდა საპირისპირო რამ. ე. წ. „რუსული მშვიდობა“ უფრო მოსკოვის გეოპოლიტიკურ გეგმას წარმოადგენდა თუ როგორ შეენარჩუნებინა გავლენა თავის სამეზობლოში კიდევ ერთ სეპარატისტულ კონფლიქტზე. შედეგად, ერევანი, ბაქო და ყარაბაღელი სომხებიც კი მოსკოვს თავისი სამშვიდობო ვალდებულებების შეუსრულებლობაში სდებენ ბრალს.

რუსეთი არაორდინარულ ძალას წარმოადგენს. ის არ ჯდება არც დიდი ძალების (აშშ და ჩინეთი) კლასიფიკაციაში, ან ისეთი მოთამაშეების რიცხვში, როგორებიც არიან თურქეთი, ირანი ან ინდოეთი. რუსეთი არც ჩინეთისნაირად ძლიერია და არც ირანის მსგავსად სუსტი. ის უფრო ჰიბრიდული ტიპის ძალას წარმოადგენს და დაახლოებით შეიძლება დიდ ძალასა და რეგიონალურ მოთამაშეს შორის კლასიფიცირდეს. რუსეთის მთავარი უპირატესობა თავისი მეზობლების სამხედრო და ეკონომიკური სისუსტეა, ვიდრე საკუთარი რესურსების (დიდი ტერიტორია, ადამიანური და სამხედრო პოტენციალი) სიჭარბე. როგორც კი რუსეთი ამ ბალანსის დარღვევის მცდელობებს ხედავს, ის სამხედრო ძალას იყენებს. ასე მოხდა 2008-ში საქართველოში და 2022 წელს — უკრაინაში.

მაგრამ მხოლოდ ეს სამხედრო და ეკონომიკური კომპონენტები არ კმარა იმისთვის, რომ ქვეყანამ შეძლოს თავისი ძალაუფლების გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნება. საჭიროა პრესტიჟის ქონა. ბევრი ამ კომპონენტს რბილ ძალას არქმევს, ჩვენ კი გეოპოლიტიკურ პრესტიჟში რამდენიმე კომპონენტის ნაკრებს ვგულისხმობთ, რომელიც ჯამში შენს მეზობლებს უარს ათქმევინებს შენთვის მიუღებელ ქმედებაზე. მეტიც, შენს მეზობლებს მხოლოდ სამხედრო კომპონენტის გამოყენების შიშით არ უნდა უწევდეთ უკან დახევა. რუსეთის შემთხვევაში კი ვხედავთ, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში მოსკოვისადმი უნდობლობა პიკს აღწევს. რუსეთი თავისი პოზიციების შენარჩუნებას მხოლოდ სამხედრო ბაზების განლაგებით ახერხებს და რთულად წარმოსადგენი არ არის რა მოხდება, თუ მან უკრაინაში სრული სამხედრო წარუმატებლობა განიცადა.

**მრავალი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რუსული წესრიგი სამხრეთ კავკასიაში არამყარია. ის არ ეფუძნება რაიმე გრძელვადიან გეგმას, გარდა რეგიონიდან დასავლეთის გაგდების სურვილისა. აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი არ მიიჩნევენ რუსეთს მშვიდობის გარანტად. მოსკოვი არც ეკონომიკურად მიმზიდველი აქტორია, განსაკუთრებით დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების ფონზე. რუსეთი სულ უფრო მეტად ხისტ ძალას მიმართავს არსებული გავლენის შესანარჩუნებლად. 2008-ში საქართველოს და 2020 წელს კი აზერბაიჯანის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნა უფრო სისუსტის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე რეალური, გეოპოლიტიკური პრესტიჟის მქონე ძალის ქმედებებად. ამასთან ერთად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ სხვა აქტორებთან, იქნება ეს თურქეთი, ჩინეთი თუ ევროკავშირი. რეგიონის გეოპოლიტიკის „დივერსიფიცირება“ მნიშვნელოვნად კვეცავს რუსეთის ამბიციებს და ფუნდამენტურად ცვლის კრემლის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიისადმი.**

**ემილ ავდალიანი.**
ჯეოქეისის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი; ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

**რუსეთს თავისი დაკნინებული პოზიციების დასაცავად სულ უფრო მეტად ესაჭიროება ხისტი პოლიტიკის გატარება. მართლაც, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სამხედრო ელემენტზე აქცენტის გაკეთება მკვეთრად გაიზარდა. სამხრეთ კავკასია არ წარმოადგენს დიდ რეგიონს და მაინც მასზე კონტროლის დასამყარებლად მოსკოვს ოთხი სამხედრო ბაზის ყოლა ესაჭიროება. მსოფლიოში რთულად მოიძებნება რომელიმე სხვა ასეთი მაღალი სამხედრო კონცენტრირების მქონე პატარა გეოგრაფიული სივრცე.**

# დაეშვით მიწაზე!

**ბოროტებასთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობების აღზრდას, მათში მხედრული სულისკვეთებისა და საერთოდ, დიდი გაგებით, ზნეობრიობის განვითარებას**

**არის თუ არა რუსეთთან ომი საქართველოსთვის უგედურების მომტანი? უკვე გაცვეთილ ჟეშმარიტებად მესახება 2008 წლის ომზე და მის შედეგებზე საუბარი. მაგრამ, არიან ძალები და პიროვნებები, რომლებიც საქართველოს აძეთკენ უბიძგებენ. არ დამავიწყდება ტელევიზიის ეკრანზე ნანახი ძალბატონი ამერიკის საელჩოდან, რომელიც ღიმილით მოგვიწოდებდა, არ დაგვევიწყებინა 1801, 1921 და 2008 წლები. ამ დროს, არ ვიცი, მისი ღიმილი რით ამეხსნა: რომ იგი ძართულად წინადადებებს ერთმანეთზე აბამდა თუ, რომ იგი „მოხერხებულად“ კვლავ გვატყუებდა. იგივე წლები ჩამოთვალა ჩვენმა „დიდმა მთავარსარდალმა“ სალომე ზურაბიშვილმა, არცთუ გამართული ძართულით და, დამავჟერებელი ხმით მოითხოვა, „ეს“ არ დაგვევიწყებინა.**

# საქართველო ისევ დიდი განსაცდელის წინაშეა!

ამ „მაღალი სფეროებიდან“ ანუ ამერიკის საელჩოდან და პრეზიდენტის სასახლიდან, დავეშვათ რანგით დაბალ მოქალაქეებზე. განა იგივე პროვოკაცია არ არის, როდესაც ელენე ხოშტარიას ჯიშიანი ძაღლივით ყელზე გამობმული აქვს წითელი ბალთა – 20%, ე. ი. საქართველოს დაკარგული ტერიტორიები, რომლებიც მხოლოდ მას ახსოვს, მამამისსა და... „უშიშარს, ვითარცა უხორცოს“ – სააკაშვილს (წესიერი სახელმწიფო რომ გვქონდეს, „უშიშარი“, პირველ ყოვლისა, ამ დანაშაულის გამო უნდა იყოს გასამართლებული!).

ორიოდე სიტყვა ხოშტარიას მამაზე, რომელიც ხშირად ამაყობს ქალიშვილით. ეგ დალოცვილი, ჯერ გამსახურდიას საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და ტელეეკრანიდან მოგვიწოდებდა, გამსახურდიას მიეცით ხმა, რადგან სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებთან შედარებით უკეთესი გარეგნობა, კარგი „ჰაბიტუსი“ აქვსო. შემდეგ, საძრახისი საქციელის გამო მინისტრის თანამდებობიდან მოხსნეს და გარიყეს. ამ მიზეზით უმალ თენგიზ სიგუას ბანაკში გადავიდა და იქ იყო, ვიდრე ბ-ნი თენგიზის და მისი მეგობრების პოლიტიკური მზე არ ჩაესვენა. ამის შემდეგ მან ისევ გამსახურდიას ქება-დიდებას მიჰყო ხელი.

ახლა ყველა ლაპარაკობს რუსეთის ლანძღვა-გინებით გამორჩეული მამა-შვილის მიერ რუსეთიდან მიღებულ ათეულ ათასობით დოლარზე. ბუნებრივია, პოლიტიკაში აქტიურად ჩართულმა ადამიანებმა ასეთი ფულის წარმომავლობა უნდა დაასაბუთონ. ბალთიანმა ელენემ კომენტარის გაკეთება „არ იკადრა“, ხოლო მამამისმა ფულის წარმომავლობა ახსნა იმით, რომ „მარიინსკი“ თეატრი ვალდებული იყო მხატვარ ს. ვირსალაძის „პირდაპირი მემკვიდრეებისთვის“ ანუ ხოშტარიასთვის, ამხელა ფული გადაეხადა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მემკვიდრეობის დამტკიცებას რუსული ბიუროკრატიის წინაშე საკმაოდ რთული იურიდიული პროცედურები უნდა გაევლო. თანხის ასეთი მაღალი ოდენობის განსაზღვრასაც სერიოზული იურიდიული მხარდაჭერა სჭირდებოდა, რომელიც უბრალო მოქალაქეებისთვის რთული მისაღწევია. მაგრამ მამა-შვილმა ეს მოახერხა. გამოდის, რომ ა) რუსეთი იმდენად დემოკრატიული და მოწესრიგებული ქვეყანაა, რომ თავის მაგინებელ საქართველოს მოქალაქეებსაც უხდის მსუყე ჰონორარებს ან 2) მარიინსკი თეატრი საფარია პოლიტიკური დაფინანსებისთვის – სამწუხაროდ, რუსეთში მოქმედებს საქართველო-რუსეთის დაახლოების საწინააღმდეგო ლობი, სხვადასხვა კავკასიელი ხალხების წარმომადგენლების ხელშეწყობით, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს დაახლოება რუსეთთან საქართველოს გააერთიანებს და საქართველო დაიბრუნებს წამყვან ადგილს კავკასიაში. ამიტომ, საჭიროა მუდმივი დაძაბულობის მხარდაჭერა რუსეთსა და საქართველოს შორის, რასაც ელენე ხოშტარიასთანა დესტრუქციული „პოლიტიკოსები“ ახორციელებენ. ორივე შემთხვევაში, ხოშტარიების მხრიდან რუსეთის გინება ძალზე ამორალურია და თან სასაცილო მდგომარეობაში აყენებს მათ. საინტერესოა, ამერიკის რომელიმე თეატრი თუ დააფინანსებდა ამერიკის მაგინებელ მამა-შვილს? დააფინანსებდა კი არა, ისე უჩივლებდა, რომ მათი შვილთაშვილებიც ვერ ამოვიდოდნენ ამერიკული „სანქციებიდან“!

**ბევრს აღარაფერს ვიტყვი სააკაშვილივით „უშიშარ“ ლაშა ბულაძეზე, რომელიც რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ბრბოს ედგა სათავეში იდიოტური და დამაბნეველი მოთხოვნით – „შინ, ევროპისკენ!“. ბულაძის „მწერლობამ“ ყურადღება ერთადერთი იმით მიიძცია, რომ აღწერა ჩვენი სათაყვანებელი თამარ მეფის საძინებელი ოთახი და მეუღლესთან ურთიერთობა. „მწერლის“ სულში ჩაბუდებულ ამ გაუკულმართებას დიდად არ შორდება მამამისის გაუკულმართებული ინტერესები: სამხატვრო აკადემიაში რექტორად ყოფნისას მან ჯილდო დაუწესა სტუდენტებს, თუ ერთი მეორეს ვინ უფრო კარგად მიაფურთხებდა! აი, როგორი ხალხი გმართავთ „შინ, ევროპისკენ“ მიმავლებო და ვშიშობ, ევროპის ნაცვლად, არ აღმოჩნდეთ ბელზებელის ხახაში!**

განა ასევე რუსეთის გაღიზიანებასა და მის მტრად გადაკიდებას არ ემსახურება „ოცნების“ მიერ კონსტიტუციაში შეტანილი დებულებები ევროკავშირსა და ნატოში შესვლის თაობაზე – ეს თურმე, ხალხის მოთხოვნით და ისიც 80%-ის!

ახალი საფრთხე რუსი ტურისტების სახით მოგვივლინეს. რუსები ჩვეულებრივი ტურისტები არიან, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი, როგორც მართლმადიდებლები, ჩვენი ტაძრებით ინტერესდებიან და ლოცულობენ კიდეც. სწორედ ესაა ბელზებელის პირმშოთათვის საფრთხე! მახსენდება „ეროვნული მოძრაობის“ დროს არსებული შემთხვევები, როდესაც რუსი ეროვნების მლოცველებს არ უშვებდნენ ზოგიერთ ტაძარში – „ზემოდან“ წამოსული ბრძანებით...

**ვითარება დღითიდღე იძაბება. რა ულირს თუნდაც „ლელოს“ თავკაცს, მულტიმილიონერ ხაზარაძეს, დაიძირავოს რუსი ტურისტების მკვლელები რუსეთის პროვოცირებისა და ომის გაჩაღების მიზნით? მით უმეტეს, რომ დღეს არსებობს ფაძტები რუსი ტურისტების ცემისა. ვთქვათ და, მართლაც შემოიჭრა რუსეთის ჯარი საქართველოში. ეს გეების აღლუმის მოტრფიალენი გაუწევენ მას წინააღმდეგობას? ჩემი მტერი იყოს ამათ იმედად! განმეორდება 2008 წელი, როდესაც მთელი „ელიტა“ გასაქცევად მიაწყდა აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარს, ხოლო მტერს პირში ჩაუგდო უბრალო მებრძოლები, რომელთა ცხედრები ისევ საქართველოს პატრიარქმა გამოიტანა დაკავებული ტერიტორიიდან.**

ამ გახსენებულზე: სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ოსებმა ცხინვალში დააჩოქეს რომელიღაც ქართული ბატალიონი. ეს ჩვენს სამხედროებზე თავლაფდასხმა იყო. საერთოდ, სამხედრო „სიკვდილთან უნდა იყოს შერიგებული“, რასაც ცალკეული ქართველი მეომრები გმირულად ავლენდნენ კიდეც, როგორც გიორგი ანწუხელიძე, რომლის სახელიც საკაშვილმა ვერაგულად გამოიყენა თავისი პროპაგანდისათვის.

ყოვლად დაუშვებელია და სახელმწიფომ უმკაცრესად უნდა ალაგმოს იმის შესაძლებლობაც კი, რომ რუს ტურისტებს ანუ საქართველოს სტუმრებს, ვიღაც ნაბიჭვრები დაესხან თავს და შეურაცხყოფა მიაყენონ. თუ ამის აღკვეთის თავიც არ გაქვთ, მახსენებთ იმ ანგელოზს, რომელზედაც აპოკალიფსისშია ნათქვამი: **„რაკი ასე ნელ-თბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან“ (3, 16).**

ბოროტების ასეთ მოძალებასთან კავშირში მოვიხმობ მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსის, ინტუიტივისტისა და პერსონალისტის, ნიკოლაი ლოსკის შეხედულებას. იგი მიიჩნევს, რომ „სამყარო არის მთლიანი ერთიანობა, რომლის ძალითაც მას ახასიათებს აზრი, რომელიც ღირებულია ყველა მისი წევრისთვის, და სამყაროს ყოველი წევრის მდგომარეობა არსებობს არა მხოლოდ თავად მისთვის, არამედ ყველა დანარჩენი არსებებისთვისაც... ქცევის შემდგომი განვითარება შედგება სულ უფრო მკაფიო გამიჯვნისაგან ზოგ არსებებთან ალტრუიზმის, რომლებიც მაღლდებიან წმინდანობის უმაღლეს საფეხურებზე, ხოლო სხვა არსებებთან - ეგოცენტრიზმისა და ეგოიზმის, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და ზოგჯერ აღწევს ეშმაკეული სიამაყისა და თვითგანდიდების საფეხურებს. ამქვეყნად ბოროტების დახვეწილი და ორგანიზებული ფორმების ზრდა ავალდებულებს პიროვნებებს, რომლებმაც აირჩიეს საპირისპირო სიკეთის გზა, იყვნენ სულ უფრო მეტად ჰეროიკულნი თავიანთ ქცევაში“ (ნ. ლოსკი, აბსოლუტური სიკეთის პირობები, 1991, გვ. 47).

ახალი აღთქმა და კერძოდ, აპოკალიფსისი წინასწარმეტყველებს, რომ ბოროტების ძლევა შესაძლებელია მეორედ მოსვლამდე (აპოკალიფსისი 15, 2; 17, 14; 21, 7).

ბოროტებასთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობების აღზრდას, მათში მხედრული სულისკვეთებისა და საერთოდ, დიდი გაგებით, ზნეობრიობის განვითარებას. ამ ყველაფრის საპირისპიროა ჩვენი განათლების სისტემა. დიდი დანაშაული იყო ჰაგიოგრაფიული ძეგლების ამოღება სასწავლო პროგრამიდან. საბჭოთა დროს იმას ვჩიოდით, შემოკლებით რატომ ასწავლიდნენ ბავშვებს სკოლებში ამ ნაწარმოებებს. ვითომ დამოუკიდებელ საქართველოში, იმავე სააკაშვილის დროს, ეს საგანძური საერთოდ გააქრეს (სამაგიეროდ, ახლახანს გავიგე, საგამოცდო პროგრამაში რატომღაც მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ჩაურთავთ. თუ მაინცდამაინც ჯავახიშვილი უნდოდათ, მისი სხვა ვერაფერი ნახეს, რაც სასკოლო ასაკს შეეფერება? იქნებ, „რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის“ და ოსების დამცირების დაუოკებელი წყურვილი ამოძრავებდათ?). კეთილი, ყველაფერი სააკაშვილს დავაბრალოთ, მაგრამ შემდგომ ხელისუფლებას უკვე 10 წლის მანძილზე, ხელი რამ შეუშალა, რომ გამოესწორებინა ეს დანაშაულებრივი „რეფორმა“? თუმცა რომელ საგანში გამოსწორდა ვითარება? ვაი, რომ – არც ერთში.



**მაგრამ ახლა ამაზე მოთქმის დრო არაა, წინ გაურკვეველი მომავალი გველის, საქართველო ისევ დიდი განსაცდელის წინაშეა.**

**ვიქტორ რცხილაძე**

**მივმართავ ყველას, ვინც რეალურად არ დაუშვებს ჭინკებისა და ქაჯების მიერ ბრბოს აყოლიებას!**

## გაღმა შედავების ეპიდემია...

# მაინცდამაინც საქართველოს რატომ მიადგნენ ასე!..

## ეს იქნება კავკასიის დიდი ომი!

**...როგორც ჩანს, უკრაინაში ომიდან ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით სურთ, ცდილობენ, უკრაინელი ხალხი დააჯერონ, თითქოს მტრები სხვაგან არიან, თითქოს საქართველო მათ არ ეხმარება ომში ჩართვით. სინამდვილეში, ამ ომში საქართველო გულშემატკივრობს უკრაინელ ხალხს და არა პოდოლიაკებს, არესტოვიჩებს, არახამიებს, – ამბობს ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე.**

**– რას ნიშნავს მიხაილო პოდოლიაკის განცხადება, რომ საქართველოში თანამდებობის პირებმა ტონი უნდა შეცვალონ და უკრაინის თემაზე საჯარო გამოსვლები შეამცირონ? იმის გამო, რომ უკრაინა ომშია, ყველაფერი შეიძლება ეპატიოს, მათ შორის, გაუთავებელი ბრალდებები და მეორე ფრონტის გახსნის მცდელობა საქართველოში? ნუთუ უკრაინელი მოხელეები ვერ აცნობიერებენ, რომ პირველად მათ უნდა შეცვალონ ტონი ჩვენს მიმართ და საქართველოსაც აღარ მოუწევს მათ ბრალდებებზე აყოლა?**

– მსგავსი თანამდებობის პირები, როგორებიცაა პოდოლიაკი, არესტოვიჩი და სხვები, ჩვენს ოპოზიციურ მედიასივრცეში ასე არ უნდა იყვნენ აჟიტირებულნი. უბრალოდ, სირცხვილია, უკრაინის, ანუ უცხო ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მრჩეველი გვმოძღვრავდეს, რამდენადაც მეგობარი ქვეყანა არ უნდა იყოს. შევეშვათ ამ წამს ურთიერთობებს, რა მდგომარეობაშიც არის უკრაინა. საქართველოს რამდენმა მოქალაქემ იცის დღეს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსის გვარი? ვფიქრობ, ბევრმა არა. რამდენმა იცის პრემიერის აპარატის უფროსის მრჩეველების გვარები? ალბათ, გაცილებით ნაკლებმა. შესაბამისად, რანგიდან გამომდინარე, არ შეიძლება უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თუ აპარატის უფროსის მრჩეველი მიმართავდეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას. უთავმოყვარეობაა, როდესაც ამ არამეგობრულ მიმართვებს მუდმივად ტირაჟირებას უკეთებენ ოპოზიციური მედიასაშუალებები და ეს პერმანენტულად გრძელდება მთელი ამ ომის განმავლობაში. უკრაინას დღემდე არ ჰყოლია, ან ძალიან ცოტა ჰყოლია საქართველოსავით მეგობრულად განწყობილი ქვეყანა. ასე იყო უკრაინის ომამდე და ჯერჯერობით ეს დამოკიდებულება კიდევ შენარჩუნებულია, რაც გადის თავმოყვარეობისა და თმენის ზღვარზე და ძალიან მძიმე მოსასმენია. როგორც ჩანს, ამ ურთიერთობების დაზიანება ემსახურება, ერთი მხრივ, ვიწროპარტიულ და ვიწროპოლიტიკურ ინტერესებს. რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობ „ნაცმოძრაობას“, მათ ლობს უკრაინაში და არა მხოლოდ უკრაინაში და კონკრეტულად „ნაცმოძრაობის“ ინტერესებს საქართველოში. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, უკრაინაში ომიდან ყურადღების გადატანა სურთ სხვა მიმართულებით, ცდილობენ, უკრაინელი საზოგადოების ყურადღების გადატანას, თითქოს მტრები სხვაგან არიან. საქართველოში უკრაინის მტრები არ არიან, მიუხედავად მასირებული საინფორმაციო შემოტევების და მძიმედ მოსასმენი განცხადებების, რასაც ერთი და იგივე პიროვნებები ახორციელებენ.

**– მხოლოდ „ნაციონალებისადმი“ სოლიდარობით შეიძლება აიხსნას უკრაინიდან მიღებული დაუსრულებელი გზავნილები?**

– საერთოდ, მე ამ პიროვნებების კავშირები და მათი წარმომავლობა უფრო მაფიქრებს, ვის ემსახურებიან ისინი, ვინ არის გონჩარენკო, იანუკოვიჩის თანაპარტიელი, რუსეთ–ბელარუსის კავშირში უკრაინის შესვლის მომხრე? ვინ არის არესტოვიჩი, ყოფილი დუგინისტი? ყოფილი დუგინისტი არ მინახავს ისევე, როგორც ყოფილი კგბშნიკი... ეს უკრაინის შიდა საქმე უნდა იყოს და დარჩებოდა კიდეც შიდა საქმედ, რომ არ იყოს ჩვენზე ასეთი მასშტაბის შემოტევები, რასაც აზვიადებს ჩვენი ოპოზიციური მედია, თორემ დღეს უკრაინაში ეს ადამიანები არავის ახსოვს და არავის აინტერესებს, პოდოლიაკი რა განცხადებებს აკეთებს საქართველოსთან მიმართებით.

**– ისე, არესტოვიჩი აპირებს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, თუკი ზელენსკი არჩევნებში მონაწილეობას არ ისურვებს. ე.ი. თავად თვლის, რომ უკრაინელებში რაღაც დასაყრდენი აქვს.**

– თუ ახლა დუგინისტი გახდება პრეზიდენტობის კანდიდატი, ეს ჩემთვის იგივეა, იანუკოვიჩმაც რომ იყაროს კენჭი. იანუკოვიჩი, არესტოვიჩი, გონჩარენკო და სხვები ერთი და იგივე ხალხია, მე არ მჯერა ისეთი ნაკითხი ადამიანების, როგორიც არესტოვიჩია (და მას ნაკითხობას ვერავინ წაართმევს), რომ ისინი მსოფლმხედველობას ასე მარტივად რამდენიმე წელში იცვლიან. სტრატეგია შეიძლება შეიცვალოს ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე არ იცვლება ადამიანის ღირებულებები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც არ უნდა დაიძაბოს საქართველო-უკრაინის ურთიერთობები, ფაქტია, რომ ჩვენ ვითარებას არ ვძაბავთ, ჩვენ ვართ ღირსეულად თმენის პოზიციაში, მაგრამ ამ თმენას, ალბათ, ზღვარი ექნება. საქართველოში მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობაა, რომლებიც ამ ომში გულშემატკივრობენ რუსეთს, როგორადაც არ უნდა იაქტიურონ მათ სოციალურ ქსელში, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ ომში უკრაინის მხარესაა. მორალურად, სამართლებრივად, ყველანაირად ამ ომში უკრაინის მხარესაა საქართველოს ხელისუფლება. ამ ყველაფერს შიდა ძალები აზიანებენ და ცდილობენ, სხვა სურათი შექმნან, მაგრამ ამ მოცემულობას ვერ შეცვლიან. ჩვენმა ხელისუფლებამ და მოსახლეობამ ბევრჯერ დაამტკიცეს, როგორც საერთაშორისო არენაზე ყველა ტრიბუნაზე მხარდაჭერით, ისე ჰუმანიტარული დახმარებებით, ათასობით უკრაინელის მიღებით, რომ უკრაინას უჭერენ მხარს. საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა VIP პირობებში უკრაინელების განთავსება საქართველოში, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონია. ჩვენ ვიხილეთ ევროპის უმდიდრეს სახელმწიფოებში ბარაკებსა და კარვებში ჰყავდათ უკრაინელი მოქალაქეები ზამთრის თუ გაზაფხულის პირობებში. ჩვენ კი საუკეთესო სასტუმროებში ვაცხოვრებდით. ომი გაიწელა და ამ ყველაფერს სჭირდება რესურსები. ჩვენ არ მიგვიღია ევროპიდან და არც მოგვითხოვია დახმარების გამოყოფა, როგორც ამას აკეთებდა თურქეთი სირიიდან დევნილების მისაღებად, მაგრამ ამოწურვადია რესურსები!..

**– პრეზიდენტ ზელენსკის ცოტა სხვანაირად რომ აღექვა მოვლენები, ალბათ, მისი ადმინისტრაციის წევრებიც შეწყვეტდნენ ასეთ რიტორიკას.**

– არ ვიცი, როდემდე გაგრძელდება ეს მავნე რიტორიკა. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტი ზელენსკი არ ეხმიანება ამ განცხადებებს, მისი ნებართვის გარეშე ეს ალბათ არ ხდება, ან მას არ სცალია ამ ყველაფრისთვის. თუმცა ადრინდელ ფაქტებს თუ შევაფასებთ და თვით ზელენსკის განცხადებებს თუ გავიხსენებთ, ის დეტალურადაა ყველაფერთან დაკავშირებით საქმის კურსში. ბოლომდე ჩანს, რომ ამ ფრონტის გახსნის საკითხი არ იხსნება დღის წესრიგიდან, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები პერიოდულად პოსტებს აცხობენ ხოლმე ამ თემის ირგვლივ. აქაც ხელისუფლების პოზიცია ცხადია. არა მხოლოდ ამ ხელისუფლების, არამედ წინა ხელისუფლების ვალდებულებებია, რომ კონფლიქტი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი გზით, **კარგად წაიკითხონ 2008 წელს გაფორმებული 6-პუნქტიანი შეთანხმება, ეს არაერთხელ გაცხადებულა ხმამაღლა, რომ კონფლიქტი უნდა მოვაგვაროთ მშვიდობიანი გზით. იმის გამო, რომ რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო, ჩვენ გადავთქვათ ეს და დავარღვიოთ ის შეთანხმება, რაშიც ჩართული იყო მთელი საერთაშორისო საზოგადოება? მაშინ შედეგზე ვინ იქნება პასუხისმგებელი?** რა მოჰყვება ამ ყველაფერს? დღეს რუსეთი, ფაქტობრივად, თავზე ხელაღებულია. მსგავს სიტუაციას ვერ ვიხსენებ მსოფლიოში ბოლო საუკუნის განმავლობაში, რამდენჯერმე იყო, როცა ასეთი მძიმე პროცესები მიმდინარეობდა, ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, დღეს არის, ჩემი აზრით, მეოთხე ტალღა, როცა მსოფლიო განსაკუთრებულად ფეთქებადია, რუსეთი არ ინდობს არავის და არაფერს. ომი მიმდინარეობს ყველაზე დაუნდობელი მეთოდებით. თითქმის არ არის ცეცხლსასროლი იარაღით შეტაკებები, ეს არის ომი საარტილერიო საშუალებებით, წვავენ ყველაფერს, ისე მიიწევენ წინ. დონბასში რასაც ვუყურებთ, ომის დასაწყისთან შედარებით ტემპი ძალიან დაბალია, მაგრამ მეთოდები არაადამიანურია. ცხადია, ჩვენს მიმართაც არ იქნება დანდობა რუსების მხრიდან. როგორც ჩანს, პოდოლიაკისთვის არ არის მისაღები, რომ ჩვენ ამ რეჟიმში ვიმყოფებით.

მინდა ერთ რამეზე გავამახვილო ყურადღება, ათეული წლების განმავლობაში ბევრჯერ გვინახავს, როცა ნატოს წევრი სახელმწიფოები ტერიტორიის ფარგლებს გარეთ აწარმოებდნენ საომარ მოქმედებებს და ეს არ ეხებოდა ნატოს. მესმის, რომ ნატოს, ამერიკას არ სურთ რუსეთთან დაპირისპირებაში შესვლა, რომ ეს არ გადაიზარდოს ბირთვულ ომში, მაგრამ ნატოს წევრ ნებისმიერ სახელმწიფოს ცალკე შეუძლია უკრაინას დახმარება გაუწიოს. განცხადებები და ჭკუის სწავლებები რომ იყო სხვადასხვა სახელმწიფოს ცალკეული პოლიტიკოსებისგან, ბალტიისპირეთისაც შეუძლია, პოლონეთსაც, სხვებსაც გამოაცხადონ, რომ მე ვერთვები საომარ მოქმედებებში უკრაინის მხარეს, ოღონდ ეს არ ეხება ნატოს. ეს იქნება მათი პოზიცია. **მაინცდამაინც საქართველოს რატომ მიადგნენ ასე, რომ, გინდა თუ არა, უნდა ჩაგვრთონ ამ ომში? საერთოდ, ათვითცნობიერებენ, თუნდაც ევროპისთვის რა შედეგები ექნება საქართველოში ომის დაწყებას?! ეს იქნება კავკასიის დიდი ომი, ეს არ დამთავრდება მხოლოდ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებით, გაცილებით მძიმე სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდება.** ამიტომ ვიმედოვნებ, საქართველო-უკრაინას შორის დაღილის ტემპერატურა, როგორც მინიმუმ, არ აიწევს და მსგავსი გამოხტომები ნაკლებად იქნება. მიკვირს საქართველოს იმ მოქალაქეების, რომლებსაც თავმოყვარეობა არ აწუხებთ, როდესაც მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელი ასეთ რამეს კადრულობს. იმედია, ჩაივლის ეს ყველაფერი. ვიმეორებ, ამ ომში ყველა გულშემატკივრობს უკრაინელებს, უკრაინელ ხალხს და არა პოდოლიაკებს და არესტოვიჩებს.

**– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორი რუსეთის მსგავსად, არსებობს ორი უკრაინაც – ერთი მადლიერი, მეორე უმადური? როგორ ფიქრობთ, უკრაინელი ხალხი დაიღალა ზელენსკის პოლიტიკით, რადგან ზელენსკის ადმინისტრაციას თემების გადაფარვა და მტრის ხატის ძიება საქართველოში დასჭირდა?**

**– კონკრეტულ მომენტში არ მწამს ორი რუსეთის, ორი უკრაინის, ორი საქართველოსი. ყოველთვის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. განსაკუთრებით, უფროსი თაობის რუს ინტელიგენციას თითქოს განსაკუთრებული ურთიერთობები ჰქონდა საქართველოსთან მიმართებით, მაგრამ ჩვენ მათი ხმა არ გაგვიგონია. ამიტომ თუ ეს მეორე ხმა პირველს ვერ ფარავს და გავლენას ვერ ახდენს, რა აზრი აქვს ამაზე ფიქრს. არსებობს კონკრეტული ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ძვეყანა იმყოფება ომში, უკრაინელ ჩინოვნიკებს აქვთ, ერთი მხრივ, პირადი და ვიწროპოლიტიკური ინტერესები, მეორე მხრივ, ყურადღების გადატანის მცდელობა, თითქოს სადღაც, საქართველო ომში არ ერთვება, ამიტომ რუსეთს ეფექტურად ვერ ვუპირისპირდებითო. ეს არასწორი მიდგომაა, მაგრამ ეს არის დღევანდელი უკრაინის ხელისუფლება და მისი რუპორები. დანარჩენს დრო განსჯის.**

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# მოძებნის ივანიშვილი ქართველ ბისმარკს?!

## ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების იდეა პროვოკაციისთვის არის შემოგდებული - მომაბეზრებელია ერთი და იგივე ძალა ხელისუფლებაში, მაგრამ ალტერნატივა არ არის!..

**ბოლო ხანს, უფრო კონკრეტულად კი, მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო, განსაკუთრებით გააქტიურდა საუბარი „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და ყოფილი თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში თანამდებობრივად დაბრუნების თაობაზე.**

საუბარია, რომ ბიძინა ივანიშვილი ფორმალურად დაუბრუნდეს პოლიტიკას და გარკვეული პასუხისმგებლობაც აიღოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ შეცდომებსა და არგაკეთებულ საქმეებზე. ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში თანამდებობრივად დაბრუნება არაფერს შეცვლის და რეალურად, არც ყოფილ თავმჯდომარეს არ აწყობს ეს.

ფსიქოლოგი და ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების შესაძლებლობაზე საუბარს პროვოკაციულს უწოდებს და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში, ოპოზიცია ისევ დაიწყებს საუბარს, თითქოს ქვეყანას ოლიგარქი მართავს. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მესამე ვადით არჩევის აუცილებლობა 2024 წელს, შესაძლოა მისაღები ალტერნატივის არარსებობის გამო დადგეს.

**ხალხისთვის მომაბეზრებელი ხდება ერთი და იგივე პოლიტიკური ჯგუფი დიდხანს ხელისუფლებაში, მაგრამ მისაღები ალტერნატივა რა არის? ბიძინა ივანიშვილი თუ რამით დაეხმარება არჩევნების დროს თავის პარტიას, ეს იქნება ავტორიტეტით. როდესაც მეტოქეს ავტორიტეტი არ აქვს, მაშინ რაღა საჭიროა ივანიშვილის ავტორიტეტი?! მეორედ რომ დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში, თქვა, რომ ნაპრალი გაჩნდა პარტიასა და საზოგადოებას შორის, თუმცა დღეს ეს ნაპრალი არ ჩანს.**

პოლიტიკური ჯგუფის მომწიფების პროცესი „ქართულ ოცნებაში“ შესაძლოა დაიწყოს, ალბათ, თვითონ პარტიაშიც ფიქრობენ, რომ მესამე ვადით ხელისუფლების შენარჩუნება გაუჭირდებათ ერთი და იგივე შემადგენლობით. ვფიქრობ, **„ოცნების“ წიაღში დაიწყება სხვადასხვა ჯგუფების ფორმირება“,** — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში თანამდებობრივად მესამედ დაბრუნება პოლიტიკურ ვითარებას არ შეცვლის და არც „ქართულ ოცნებაზე“ იმოქმედებს დადებითად ეს ფაქტი.

**„ივანიშვილი პოლიტიკიდან არ წასულა. ასე რომ, მის დაბრუნებაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. ის შეინარჩუნებს თავის გავლენას „ქართულ ოცნებაზე“ და ქართულ პოლიტიკაში ყოფნა სხვა არის?! პოლიტიკური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, პასუხისმგებლობები დაეკისრება, თუმცა არსებითად ახალი არაფერი მოხდება.**

**თანამდებობრივად არ მგონია, რომ ის მესამედ დაბრუნდეს. გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი იგივე დარჩება და პასუხისმგებლობაც მას დაეკისრება. მის დაბრუნებას პოლიტიკაში თანამდებობრივად, საზრისი არ ექნება, მისი დაბრუნება „ქართულ ოცნებას“ მდგომარეობას ვერ გაუუმჯობესებს.**

**ერთი და იგივე ძალის ხელისუფლებაში ყოფნა ხალხისთვის მოსაბეზრებელია. თუ ივანიშვილი მოძებნის ვინმე ბისმარკს, რომელიც მკეთრად გააუჯობესებს მდგომარეობას, ამის არ მჯერა. შესაძლოა თვითონ დაიჯეროს, რომ ვინმე ბისმარკია, მაგრამ მისი საკადრო პოლიტიკიდან არ გამომდინარეობს ის, რომ ის შეძლებს განსაკუთრებული ბრწყინვალე ადამიანის მოძებნას, ჯერჯერობით მან ეს ვერ მოახერხა“,** — განაცხადა ზაზა ფირალიშვილმა.

**ნიკო ჩოხელი**

# 2021 წელს საქართველოში 1 241,8 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2021 წელს 1 241.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.1-ჯერ მეტია, ხოლო 2021 წლის წინასწარ მონაცემებზე 7.7 პროცენტით მეტია.**

საქსტატის ცნობით, 2021 წელს რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 62.0 პროცენტი შეადგინა.

უწყების ცნობით, 2021 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და თურქეთი არიან.

**„ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 465.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 37.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 185.9 მლნ. აშშ დოლარით (15.0 პროცენტი), ხოლო მესამეზე — დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 133.3 მლნ. აშშ დოლარით (10.7 პროცენტი)“,** — აღნიშნულია საქსტატის ინფორმაციაში.

# მამულიშვილობის ერთი „პაჭარა“ ამბავი

**სიცოცხლის საუკუნოვან ნაბილიკარზე თავგადასავალთა შორის მრავალი უკვე მივიწყებულ-დაკარგული გგონია, არადა, ერთბაშად ისე ამოკაშკაშდება, როგორც ავდარში ღრუბელთა შორის მაცოცხლებელი მზე...**

იმ დღეს, არასასურველ ერთ შეკრებაზე, სადაც იმ არაკაცი მიშას თაყვანისმცემლები სიკეთით და ქველმოქმედებით სავსე ბიძინა ივანიშვილის ავადხსენებით ილესავდნენ ენებს, ანაზდად, თითქმის ორმოცი წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა. მეც დრო ვიხელთე და გადავწყვიტე თქვენთვის მომეყოლა.

ამბავს რომ გიყვებით ბატონი ბიძინას ცხოვრებაში თითქოს ზღვაში წვეთია, მაგრამ ზღვაც ხომ წვეთებისგან შედგება.

იმხანად მე, ახალგაზრდა კაცი, საქართველოს იმჟამინდელ ერთადერთ ტელერადიო მაუწყებლობის რუსთავის ზონის კორესპონდენტი ვიყავი, და შვიდ რაიონს ვემსახურებოდი, მათ შორის, ქვემო ქართლის ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს გარდაბნის რაიონს.

ხოლო გარდაბანს მაშინ თავკაცობდა უკეთილშობილესი, ყოველმხრივ განათლებული და ჩინებული ორგანიზატორი ოთარ ბოკერია.

ერთხელ ბატონი ოთარი მირეკავს, ხვალ დილით სართიჭალაში შევხვდეთ ერთმანეთს, რაღაც სიურპრიზი მოგელისო.

ოპერატორთან ერთად რკინიგზის სადგურთან მისული მართლაც საოცრებას გადავეყარე: რკინიგზის ლიანდაგები სატვირთო ეშელონებს გადაეხერგათ, იქიდან კი მძიმე ტექნიკა გადმოჰქონდათ. მანქანა-ტრაქტორები, კომბაინები, სათიბი მანქანები, ყველაფერი ის, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობას ჰაერივით სჭირდებოდა.

და აი, ოთარ ბატონი ინტერვიუში მეუბნება, რომ თურმე რუსეთში ცხოვრობს ვინმე ქართველი, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც საქართველოს სრულიად უსასყიდლოდ აჩუქა, ლამის მილიონად შეფასებული ეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა.

მალე შემოგვიერთდნენ შესაბამისი დარგის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც განგვიმარტეს, რომ ეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მართლა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა გამოგვიგზავნა. ამ ტექნიკის ნახევარი აღმოსავლეთ საქართველოს ეკუთვნის, ნახევარ კი დასავლეთ საქართველოს რაიონებს უნდა გადავცეთო.

ჩემდა გასაკვირად არც მთავრობის წრმომადგენლებმა მითხრეს რამე ბიძინა ივანიშვილზე, ალბათ მათაც არ იცოდნენ მასზე მეტი.

ეს საოცარი ამბავი ჩემთვის დიდხანს დარჩა საოცრებად, სანამ ეს ღვთისნიერი კაცი, ბატონი ბიძინა ჩამოვიდოდა სამშობლოში. მერე მეც, ლამის მილიონიანი თბილისური მიტინგების მონაწილე არ გავხდებოდი.

ჩემთვის ეს თბილისური ხალხმრავლობაც საოცრება იყო, მე, ლამის პროფესიონალ მომიტინგეს, მითუმეტეს სისხლიანი დემონსტრაციების და შემდგომში ყველა საპროტესტო მიტინგის მონაწილეს და ბევრჯერ სიკვდილს გადარჩენილს, მსგავსი ხალხმრავლობა არ მახსოვს.

დღეს იმ მოვლენის, საჩუქრად 200 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამოტანის განსაცვიფრებელი ამბის მოწმე, მხოლოდ ერთი სვანი კაცი, ავთანდილ მარგიანი მეგულება, რომელიც მაშინ გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი იყო.

აქ არ შეიძლება არ მოვიშველიო შესანიშნავი პუბლიცისტისა და პოეტისა პოეტის ვახტანგ ხარჩილავას ნააზრევი, რომ ერთი ადამიანი, ერთი მარტოხელა კაცი ბედის უშიშრად შეეჭიდოს ურთულეს საქვეყნო პრობლემებს და თავისი სახსრები იქითკენ მიმართოს, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირს, მართლაც რომ ღვთაებრივი მოვლენაა.

დასტურ იმისა, რომ ასეა.

აქვე მადლობა უნდა გადავუხადო ჩვენი საუკუნოვანი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, რომელმაც გადამაწყვეტინა ამ ამბის გახსენება.



**გივი ჯაბუა,**
**რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე**

# რატომ ძვირდება უძრავი ქონება?

**მიმდინარე წლის მეორე კვარტალში უძრავი ქონების ბაზარი გამოცოცხლდა. Europetime-ს რამდენიმე უძრავი ქონების სააგენტოში განუცხადეს, რომ გაქირავების სეგმენტის შემდეგ, გაყიდვების ბაზარიც გააქტიურდა და თანდათან პანდემიის შედეგად გამოწვეული სტაგნაციიდან გამოდის.**

**მოთხოვნას დეველოპერებმა რომ ფასების ზრდით უპასუხეს, ამას საქსტატის მონაცემებიც ადასტურებს. კერძოდ, 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი (RPPI) 0.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ინდექსის წლიურმა ზრდამ 4.5 პროცენტი შეადგინა.**

საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის საშუალოსთან შედარებით, ინდექსი 13.9 პროცენტით არის გაზრდილი. 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფასების ზრდა დადასტურდა საცხოვრებელი ბინების სეგმენტში (2.2 პროცენტი). ამავე პერიოდში, ფასები შემცირდა კერძო სახლების სეგმენტში (-2.4 პროცენტი). 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ფასების ზრდა დაფიქსირდა ბინების სეგმენტში 8.2 პროცენტით, ხოლო კერძო სახლების სეგმენტში ფასები შემცირდა 3.5 პროცენტით.

ამჟამად შავი კარკასის მდგომარეობაში უძრავი ქონება თბილისში, საშუალოდ 2,216 ლარი, თეთრი კარკასი 2,505 ლარი, ხოლო მწვანე კარკასი 2,920 ლარი ღირს.

**საქსტატის მონაცემებით, უბნების მიხედვით ერთ კვადრატულ მეტრზე ფასები ასე ნაწილდება: მთაწმინდა – 4,339 ლარი; ვაკე – 3,845 ლარი; კრწანისი – 2,937 ლარი; საბურთალო – 2,927 ლარი; ჩუღურეთი – 2,856 ლარი; დიდუბე – 2,814 ლარი; ნაძალადევი – 2,740 ლარი; ისანი – 2,580 ლარი; გლდანი – 2,558 ლარი; სამგორი – 2,451 ლარი.**

რამ გამოიწვია საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის მაღალი აქტივობა და რატომ იზრდება ბინების, კომერციული ფართებისა და მიწის ფასი? ამ და სხვა საკითხებზე Europetime კომპანია „რემაქს კაპიტალის“ დამფუძნებელს, რეალიზთტორთა ასოციაციის მმართველი საბჭოს ყოფილ წევრ **მარიამ ასათიანს** ესაუბრა.

**— ET: რას უკავშირდება პანდემიის სტაგნაციის შემდეგ უძრავი ქონების გააქტიურება და შესაბამისად ფასების ზრდა? ერთ-ერთ მიზეზად რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, საქართველოში უძრავი ქონების შეძენის მსურველთა მზარდი რაოდენობა სახელდება. ეთანხმებით ამ შეფასებას თუ არის სხვა მიზეზებიც?**

— საქართველოში უძრავი ქონება რამდენიმე მიზეზით გაძვირდა. თუ საცხოვრებელი სახლების სეგმენტს განვიხილავთ, აქ გვაქვს თვითღირებულების მატება სამშენებლო მასალებზე, რაც ბუნებრივია იწვევს გაძვირებას. დეველოპერების ინფორმაციით, სამშენებლო მასალების თვითღირებულება 40% გაძვირებული. მეორე მიზეზია, პანდემიის შემდეგ არსებული გარკვეული სტაგნაცია. ესაა ორი წლის განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნა, რაც ახლა რეალიზდება. უძრავი ქონების ბაზარზე აქტივობის გაზრდის მესამე და მთავარი მიზეზია რუსეთ-უკრაინის ომი, რის შემდეგადაც ჩვენთან ბევრი ვიზიტორი შემოვიდა. შედეგად უძრავი ქონების გაქირავების ფასი გაიზარდა. რამაც ინტერესი გაუჩინა საინვესტიციო მყიდველებს, რომ შეიძინონ ბინები და შემდეგ გააქირაონ. ბინების შეძენა ხდება ორი მიზეზით, ერთი საკუთარი მოხმარებისთვის და მეორე საინვესტიციოდ, რათა შემდეგ გაქირავდეს. ძირითადად ეს სამი ფაქტორი იწვევს უძრავი ქონების ბაზრის გააქტიურებასა და ფასების მატებას.

**— ET: როგორც ცნობილია, პანდემიამდე უძრავ ქონებაში საქართველოში გაქირავების მიზნით ინვესტირების მაჩვენებელი არ იყო მაღალი. მაშინ არ იყო მოთხოვნა?**

— გაქირავების მიზნით ბევრი ადამიანი ყიდულობდა ბინას საქართველოში, თუმცა ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით პანდემიის დროს, საინვესტიციოდ ბინების ყიდვის მოტივაციამ იკლო, იმიტომ რომ ქირა შემცირდა და ნაკლებად საინტერესო ხდებოდა ამ მიზნით ბინის შეძენა. ახლა ვითარება შეიცვალა, რადგან ქირის ფასი 30%-ით ზოგ შემთხვევაში კი 50%-ით გაზრდილი. ამან შექმნა დამატებითი მოტივაცია ბინების შესყიდვაზე.

**— ET: საქსტატის მონაცემებით, გაძვირებულია ახალი ბინები, მეორადზე კი ფასი შემცირებულია. ეს რით არის გამოწვეული?**

— ვერ ვიტყვი, რომ მეორად ბინებზე ფასი შემცირებულია. უბრალოდ უფრო ნაკლებადაა გაზრდილი ძველ სახლებზე, ვიდრე ახლებზე. ტრადიციულად ეს ასეა, რადგან ძველ სახლს ამორტიზაცია მეტი აქვს და ახლა უფრო მეტი ახალი ბინა შენდება. სახლები ახალი სტანდარტით შენდება და უფრო უსაფრთხოა. ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ უფრო კარგად ქირავდება. ყველა ეძებს უფრო თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტის ბინას დასაქირავებლად. ეს კი იწვევს მყიდველში იმის მოტივაციას, რომ ახალი ბინა იყიდოს. ძველი სახლები ამორტიზებულია, მოსაწესრიგებელია სადარბაზოები და საინვესტიციოდ მისი კაპიტალური ღირებულება უფრო ნაკლებია. ამასთან, გრძელვადიან პერიოდში უფრო ნაკლებად გაუძლებს დროის მოთხოვნას და შესაბამისად, ძველ სახლებზე ფასების მატება უფრო ნაკლებად ფიქსირდება.

**— ET: დღეს საქართველოს რომელ ქალაქებში და რეგიონებშია უფრო მაღალი მოთხოვნა უძრავ ქონებაზე და რით არის ეს გამოწვეული?**

— თბილისში, ბათუმში... ასევე საკურორტო ზონებში. საინვესტიციოდ ბინები იყიდება გუდაურში, ბაკურიანში. აქ მოთხოვნა შენარჩუნებულია. ბოლო დროს, პანდემიის შემდეგ გამოიკვეთა ტენდენცია უძრავი ქონების ქალაქგარეთ შესყიდვაზე. ადრე თუ მეტი მოთხოვნა იყო ქალაქის ცენტრზე, ეს იყო საბურთალო, ვაკე, მთაწმინდის რაიონი, კრწანისი, ორთაჭალა, ახლა კი პირიქით, მოთხოვნამ ცენტრიდან ქალაქგარეთ გადაინაცვლა.

ეს ურბანიზაციამაც განაპირობა, რადგან რაც უფრო გადატვირთულია გზები, გაჯერებულია ქალაქის ცენტრში ცხოვრება, უფრო მეტად ცდილობენ ადამიანები გავიდნენ ქალაქგარეთ. ეს პროცესი სულ მიდიოდა, მაგრამ ლოკდაუნებისა და პანდემიის შემდეგ უფრო აჩქარდა. ადამიანებმა გადალახეს მანძილის დაფარვის ფსიქოლოგიური ზღვარი. ახლა ეს აქტიური ტენდენციაა და ქალაქგარეთ უბნის ტიპის პროექტებზე მოთხოვნა დიდია.

ეს არის ლისი, საგურამო-მცხეთის მიმართულებით. მოთხოვნას ზოგადად აჩენს დეველოპერული წინადადებებიც, ხოლო თავად მოთხოვნა, დეველოპერების მოტივაციას ზრდის. რეალურად მოთხოვნა და მიწოდება ეხმარება ერთმანეთს, რომ სამომავლოდ ტენდენცია განისაზღვროს. ამასთან, ბოლო პერიოდში გაჩნდა დახურული უბნების განაშენიანების პროექტები, რაც მანამდე ნაკლები იყო. მანამდე აქცენტი კეთდებოდა ქალაქის ცენტრში წერტილოვანი კორპუსების პროექტებზე. ახლა კი არის ურბანული პროექტები. დეველოპერები მომხმარებლებს დაბალსართულიან ან კერძო ბინების ტიპის განაშენიანების პროექტებს სთავაზობენ.

**— ET: რაც შეეხება უძრავ ქონებაზე ფასების ზრდის ტენდენციას, რა შემთხვევაში შეჩერდება? ალბათ როცა მოთხოვნა იკლებს ან ბაზარი გაჯერდება?**

— შესაძლოა, უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ზრდის ტემპი შენელდეს. ახლა რამდენიმე მიზეზი დაემთხვა ერთმანეთს: პანდემიის დასრულება, ომის შემდეგ ვიზიტორების ჩამოსვლა. მოთხოვნის ზრდამ მყისიერად გაზარდა ფასები. სწორედ ამიტომ შესაძლოა, ფასების ზრდის ტენდენცია შენელდეს, თუმცა უძრავ ქონებაზე ფასის შემცირებას არ ველი, იმიტომ, რომ ამ ფასების პირობებში მყიდველი არის. ფასის ზრდა შენარჩუნდება იქამდე, ვიდრე ბაზარზე მსყიდველუნარიანი მომხმარებელი იქნება და გაძვირებულ უძრავ ქონებას შეიძენს. ჯერჯერობით გაძვირებული უძრავი ქონება იყიდება და სამშენებლო მასალის თვითღირებულებაც გაზრდილია და ამ ფონზე ფასის შემცირების მოლოდინი ამ მიმართულებით არ არის. მთელ მსოფლიოში გაძვირდა არმატურა, მეტალი, ცემენტი. შესაბამისად, მშენებლობის ხარჯი გაეზარდათ დეველოპერებს.

**წყარო: EUROPETIME**

# უნგრეთში ლეგალურად დასაქმების შანსი

## რა ვიცით ახალი პროგრამის შესახებ

**უნგრეთის მთავრობამ საქართველო იმ ქვეყნების სიაში შეიყვანა, რომელთა მოქალაქეებსაც გარკვეულ პოზიციებზე დასაქმების ლეგალურ უფლებას მისცემს.**

**ვინ, როდის და რა პირობებით შეიძლება იპოვოს სამსახური უნგრეთში? ვის შეუძლია სცადოს ბედი და რა არის ამისთვის საჭირო?**

**ეს შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ფლობს შესაბამისი დეფიციტური პროფესიის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს; ასევე, აკმაყოფილებს იმ დამატებით თუ სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს უნგრელ დამსაქმებელს.**

### რას თვლის უნგრეთი დეფიციტურ პროფესიად?

გარკვეული პერიოდულობით უნგრეთის მთავრობა ადგენს იმ დეფიციტური პროფესიების სიას, სადაც უჭირს კვალიფიციური კადრების პოვნა ქვეყნის შიგნით და მათ საზღვარგარეთიდან იწვევს.

2021 წელს შედგენილ სიაში სხვა პროფესიებს შორის მითითებულია:

- **IT და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სპეციალისტები;**
- **ტექნიკური პროფესიების წარმომადგენლები, მაგალითად, მექანიკოსები, ელექტრიკოსები, შემდუღებლები;**
- **მენეჯერები, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე;**
- **ჯანდაცვის პროფესიები, მაგალითად, მედდა, ფიზიოთერაპევტის ასისტენტი, მასაჟისტი;**
- **სოციალური მუშაკი;**
- **ოფისის ადმინისტრატორი, საოფისე და ადმინისტრაციული საქმიანობა;**
- **ბანკის მოლარე-ოპერატორი, კლიენტებთან ურთიერთობის სხვა პროფესიები;**
- **კომერციული და კვების საქმიანობა, მიმტანი, მზარეული, მაღაზიის მოლარე;**
- **გემის და თვითმფრინავის ბორტგამცილებელი;**
- **საკუთრების დაცვის თანამშრომელი;**
- **სოფლის მეურნეობის პროფესიები;**
- **სამშენებლო პროფესიები;**
- **მძღოლები;**

### რა პერიოდით შეიძლება დასაქმება?

საქართველოს მოქალაქეების უნგრეთში ლეგალურად დასაქმება შეიძლება 3 თვიდან 5 წლამდე.

### როდის შეიძლება პროგრამაში ჩართვა?

2022 წლის ბოლო კვარტალში პროგრამის საპილოტო რეჟიმი ამოქმედდება. დაგეგმილია, რომ სრულყოფილად პროგრამა მომავალი წლიდან ამოქმედდეს.

### როდის და როგორ შეიძლება განაცხადის გაკეთება?

საქართველოს მოქალაქეებისთვის პროგრამა გახსნილად 1 სექტემბრის შემდეგ გამოცხადდება. ამის შემდეგ გაჩნდება ონლაინაპლიკაციის შევსების შესაძლებლობაც. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, პროგრამა ჯერ კიდევ მუშავდება და უნგრეთის მხარესთან ერთად მასში ჩართულია საგარეო საქმეთა, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები.

### ვინ შეარჩევს გამარჯვებულებს და, საერთაოდ, რამდენი იქნება ხელფასი?

თანამშრომლებს უნგრელი დამსაქმებელები შეარჩევენ, ისინი განაზღვრავენ და შეათანხმებენ დასაქმებულის ანაზღაურებასაც. კერძო დამსაქმებლისა და დასაქმებულის სამართლებრივ ურთიერთობებს ხელშეკრულება დაარეგულირებს.

### თუ საზღვარგარეთ დასაქმებულის უფლებები დაირღვევა, ვის უნდა მიმართოს საქართველოს მოქალაქემ?

პროგრამას მონიტორინგის სპეციალური ორგანო არ ჰყავს. საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს დავები დარეგულირდება საერთაშორისო სტანდარტებითა და ხელშეკრულებებით. უფლებების დარღვევასა და სხვა პრობლემის გადაჭრაზე დასაქმებულს პროექტის ამოქმედებისთანავე მიაწვდიან ინფორმაციას.

### საქართველოს გარდა კიდევ არის ქვეყნები, საიდან უნგრეთი კადრებს ეძებს?

უნგრეთის საკანონმდებლო მაცნის თანახმად, საქართველოს გარდა კადრებს იღებენ მესამე სამყაროს სხვა ქვეყნებიდანაც, მაგალითად, ბელარუსიდან, ბოსნია და ჰერცოგოვინიდან, ჩრდილოეთ მაკედონიიდან, ფილიპინებიდან, ინდონეზიიდან, ყაზახეთიდან, მონღოლეთიდან, მონტენეგროდან და ვიეტნამიდან.

### რა ვიცით უნგრეთზე?

უნგრეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა 2004 წლიდან, ნატოს წევრი კი 1999 წლიდან გახდა, მისი ვალუტა უნგრული ფორინტია (1 ფორინტი 0.0026 აშშ დოლარი ღირს). უნგრეთის ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორები 2020 წელს მრეწველობა (23.5%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ტრანსპორტი, საცხოვრებელი და კვების სერვისები (17.7%), სახელმწიფო ადმინისტრირება, თავდაცვა, განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური სამუშაოები (17.5%) იყო.

**გვანცა ნემსაძე,** „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი



# „შენ აყვავდი, ქართლო, მეტად...“

**„ნეტავი ჩემი სასახლე, მაღლა მთაზედა ამეგო, გამვლელ და გამომვლელისთვის ყოველდღე კარი გამეღო. მშივრისთვის პური მეჭამა, რაც მეშოვნა და მეპოვნა, სულ ღატაკებზე გამეყო“...**

– ეს იმ ლექსთაგან ერთ-ერთი პირველი გახლავთ, რომელიც მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის მშვენება **გიორგი (გოგლა) ლეონიძისთვის** დედას, პოეტისავე თქმით, „ხასიათით განთქმული გარე კახეთში“ სოფიო გულისაშვილს ვაჟიშვილისთვის უსწავლებია და რომელიც საოცრად მიესადაგება მის ცხოვრებასა და დიდებულ შემოქმედებას.

მე-19 საუკუნის მიწურულს – 1899 წლის 27 დეკემბერს, ტფილისის გუბერნიის სოფელ პატარძეულში დაბადებული გოგლა ლეონიძე, ჯერ კიდევ შემოქმედებითი მოწიფულობის ასაკში მყოფი – 66 წლისა, 1966 წლის 9 აგვისტოს თბილისში აღესრულა. მადლიერმა ხალხმა მას სამუდამო სასუფეველი ყოველი ქართველისთვის წმიდათაწმიდა ადგილას – მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა.

ამდენად, წლეულს 56 წელი შესრულდა დიდი პოეტის გარდაცვალებიდან. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, 9 აპრილის სახელობის ბაღში, მის შესანიშნავ ძეგლთან მივიდნენ და ფერხთით ყვავილები დააფინეს გოგლა ლეონიძის შთამომავლებმა, ახლობლებმა, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა, მათ შორის მისმა შვილიშვილმა გიორგი გვინჩიძემ თავის შვილიშვილთან ერთად, ცნობილმა მეცენატმა და მამულიშვილმა ვახტანგ ვეფხვაძემ, რომლის შემწეობითაც ცოტა ხნის წინათ გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი დიდებული წიგნი გამოიცა.

აღსანიშნავია, რომ სასიქადულო მწერლისადმი დიდ პატივისცემას და გულწრფელ სიყვარულს, მისი ძეგლის ყვავილებით შემკობის შემსწრე პარკის მრავალრიცხოვანი ჩვენებური და უცხოელი სტუმრებიც შეუერთდნენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**აქვე გთავაზობთ გოგლა ლეონიძის რამდენიმე ლექსს.**

## „წავა ლექსი და წაიღებს“

გადაივლიან ღრუბლები,
დაჭყრიან ოქროს ქვიშასა;
წავა ლექსი და წაიღებს
ახალგაზრდობის ნიშანსა!
გაჭყვება ცრემლის საგზალი,
თმებიდან ერთი ჭაღარა;
წავა, ის ტალღაც გაშრება,
გუშინ რომ განიაღვარა!
წავა და არ დაბრუნდება
დაფეთებული ჯერანი;
იმ ღამის ოროოლვა თან წაჰყვა,
იმ დილით გულის ძგერანი!
ან რისთვის უნდა დაბრუნდეს,
მე ვეღარ მნახავს მზისანსა;
ახალგაზრდობა თუ უნდა,
უჯობს გადაჰყვეს ნიავსა!
ვაი, რომ ერთხელ დაგრეკავს
და მერე შეგრთავს ქვიშასა!
წავა ლექსი და წაიღებს
ახალგაზრდობის ნიშანსა...

1928.

## „ყივჩაღის პაემანი“

...ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...
მუხრანული

ყურღანებიდან ვნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩები ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხობას ვნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვრიე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენ ქმარს შემოვხვდი!
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

1928.

## მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“,
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

გამოვვარდები, ხარ თუ აღარა?
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარიან, რომ ისევ დგეხარ!

შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას, – ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

1929.

---

# გვეამაყები, იზეტა!

**საფრანგეთის სახელმწიფომ სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლის კურსი სრულად დაუფინანსა ქართველ სტუდენტს იზეტა კანკაძეს.**

თბილისის 161-ე სკოლის მე-9 კლასი განსაკუთრებული მღელვარებით დაასრულა, იმიტომ, რომ სრულიად უცხო სამყაროში უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება.

კანკაძეების ოჯახი საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად, 2 შვილთან ერთად. იზეტა კანკაძემ სწავლა ქალაქ ბორდოს სკოლაში ისე გააგრძელა, რომ ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ფრანგულად. ქართველი გოგონა სპეციფიურ კლასში მოხვდა, სადაც 1 წელი გაძლიერებულად ასწავლიდნენ ფრანგულს. 6 თვეში უკვე გამართულად საუბრობდა უცხო ენაზე და სხვა სასკოლო საგნების სწავლაც შეეძლო.

**– ბორდოს ლიცეუმში ჩემი ფრანგულის მასწავლებელი მაშინ თურმე სადოქტოროს იცავდა. ახლა სორბონის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების პროფესორია,–** ამბობს იზი.

ახლა იზეტაც სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტია. გზა ჯერ თბილისიდან ბორდომდე და მერე ბორდოდან პარიზამდე რთული და საინტერესო იყო.

ლიცეუმის საერთაშორისო სექციის წარმატებით დასრულების შემდეგ (ფრანგულ-რუსული დიპლომით), ბორდოს უნივერსიტეტში, სამედიცინო-სამეცნიერო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. 3 წელიწადში კვლავ წარმატებით დაამთავრა ბაკალავრიატის სრული კურსი და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მიზნით, თავისი მონაცემები ორ უნივერსიტეტში, ნეირომეცნიერების მიმართულებით გააგზავნა – ბორდოს უნივერსიტეტსა და სორბონის უნივერსიტეტში.

პასუხი სორბონის უნივერსიტეტიდან 2 დღეში მიიღო – იზეტა კანკაძეს სორბონის უნივერსიტეტი სასწავლებლად იწვევდა.

**– უცნაურია, მაგრამ მაინცდამაინც არ გამხარებია სორბონიდან ასე უცებ მიღებული დადებითი პასუხი. ბოლომდე არ მქონდა გადაწყვეტილი საცხოვრებლად პარიზში გადასვლა, ოჯახის წევრებთან დაშორება, უდიდეს ქალაქში მარტო ცხოვრება... და მაინც, გადავედი პარიზში.**

**მაგისტრატურის პირველივე წელს გავიარე სტაჟირება. აქაც საკმაოდ რთული ეტაპების გადალახვა მომიხდა, რომ ერთ-ერთ ძალიან პრესტიჟულ კვლევით ლაბორატორიაში გამევლო ეს სტაჟირება. იქ ალცჰაიმერის დაავადების კვლევის პროცესში ვიყავი ჩართული. ნაშრომის დაცვამ იმდენად კარგად ჩაიარა, რომ კომისიის წევრებმა რეკომენდაცია გამიწიეს ჩემს ახლანდელ ხელმძღვანელთან. შესაბამისად, მაგისტრატურის მეორე წლის პროგრამაზე გადასვლა არ გამჭირვებია. პირველი 8 თვე გავატარე პარიზის თვალის ინსტიტუში, სადაც შევისწავლიდი ისეთ მასალას, რაც ჯერჯერობით შესწავლილი არ არის.**

**ეს გარკვეული რისკიც იყო- შესაძლებელია კვლევას არაფერი ეჩვენებინა, თუმცა, როგორც მეცნიერები ამბობენ „არაფერი შედეგიც კი შედეგიაო“, თუმცა, მე გამიმართლა, ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა სწორი აღმოჩნდა. ასე წარმატებით დავხურე მაგისტრატურის მეორე კურსი და მომცეს რეკომენდაცია დოქტორანტურის გასავლელად.**

იზეტა კანკაძემ კურსი სადოქტორო საფეხურისკენ აიღო. საფრანგეთის განათლების სისტემაში, დოქტორანტურაში სწავლა მხოლოდ 2 გზითაა შესაძლებელი – ან სახელმწიფო დაფინსება უნდა მოიპოვო, ან კერძო დაფინასება სხვადასხვა ფონდებისგან.

**– დოქტორანტურაში სწავლა ძალიან ძვირი ჯდება, ამ საფასურის გადახდას პირადად ვერავინ შეძლებს. კვლევები, რომელშიც მე ვმონაწილეობ, რამდენიმე მილიონი ღირს. მაგალითად, იმ მიკროსკოპის მხოლოდ ლინზა, რომელსაც კვლევის დროს ვიყენებ, ღირს 15 ათასი ევრო. ჩემი CV-ის გაცნობის შემდეგ, ისევ რამდენიმე ეტაპიანი გასაუბრებები გავიარე. ამ გასაუბრებების კომისია შედგება პარიზის წამყვანი უნივერსიტეტებისა და კლინიკების დოქტორებისა და პროფესორებისგან, 30-კაციანი შემადგენლობით. 100 სტუდენტი ცდილობდა სახელმწიფო დაფინანსების მოპოვებას, მხოლოდ 25-მა მოიპოვა და მათ შორის ალმოვჩნდი მეც.**

სტიპენდია, რომელიც ამ დაფინანსებით მოიპოვა იზეტა კანკაძემ, მას საშუალებას მისცემს იცხოვროს და ისწავლოს პარიზში – მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძვირიან ქალაქში. სწავლის პარალელურად, ქართველი გოგონა წლებია თარჯიმნის ფუნქციებსაც ითავსებს, ძირითადად სამედიცინო-სოციალური მიმართულებით, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით. მეგობართან ერთად ჩამოაყალიბა თარჯიმან-მთარგმნელთა ასოციაცია „იმედი“, რომელიც ეხმარება კოლეგებს კლინიკებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. ასევე, აქვთ ფეისბუქ-გვერდი, რომლითაც საფრანგეთში სწავლის მსურველებს ან უკვე იქ მყოფ ქართველ სტუდენტებს სრულიად უანგაროდ უწევენ ძალიან მნიშვნელოვან კონსულტაციებს.

იზეტა კანკაძე დღემდე საქართველოს მოქალაქეა, მიხედავად იმის, რომ შეეძლო ყოფილიყო საფრანგეთის მოქალაქე.

**– ყველა ჩემს ხელმძღვანელს დასაწყისშივე ვუთანხმდები, რომ წელიწადში 1 თვე მე აუცილებლად უნდა წავიდე საქართველოში და ისინიც ძალიან მიწყობენ ხელს ამაში. ისე შევაყვარე ყველას საქართველო, რომ დიდი სურვილი აქვთ ჩვენს ქვეყანაში სტუმრობის. ჩემთვის საქართველოში, წყალტუბოში, მაღლაკში გატარებული ყოველი დღე და წუთი არის სუფთა ჰაერის ჩასუნთქვასავით, რომელიც მერე მთელი წელი უნდა მეყოს.**

ბებიას მოსახელე იზეტას მისი ბაბუის მურთაზ კანკაძის ოჯახში შევხვდი. 4 შვილის, 7 შვილიშვილის, 1 შვილთაშვილის, რამდენიმე ძაღლის და კატის მფლობელები არიან მურთაზ და იზეტა კანკაძეები. მათ დიდ, სტუმართმოყვარე ოჯახში სტუმრობას არაფერი სჯობს, მით უმეტეს, თუ ჟასმინის ჩაისთან ერთად, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტ იზეტა კანკაძესთან უამრავ საინტერესო თემაზე საუბრობ...

მომავალ შეხვედრამდე, იზეტა!

**ირმა მარდალეიშვილი,**
წყალტუბო




# უსაქართველოდ მკერდმოჭრილი ამორძალი...

## ქართველები და აფხაზები... ვინ-მეტი, ვინ-ნაკლები?

**რუსეთის** **იმპერიასა და საბჭოთა კავშირში საყოველთაო აღწერისას დიდი ყურადღება ექცეოდა დაპყრობილი ტერიტორიების ეთნიკური შემადგენლობის დადგენას: ვინ რამდენი იყო, ვის როგორი წილი ჰქონდა და ა.შ. დემოგრაფიული სურათის ცვლილება ყოველთვის მძაფრ რეაქციას იწვევდა თავად სტატისტიკას დაქვემდებარებულ ხალხებშიც. ეს საკითხი მწვავედ იდგა აფხაზეთშიც მთელი XX საუკუნის განმავლობაში, როცა ინტენსიური გახდა შიდამიგრაციული პროცესები და მწვავედ დგას ახლაც, როცა დემოგრაფიული ბალანსი მკვეთრად შეიცვალა 30 წლის წინ დაწყებული ომის შედეგად.**

სოხუმის სანაპირო, 1987წელი. ელეფთერ ლაფაჩის ფოტო, ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის არქივი

რუსეთის იმპერიაში ავტონომია (დამოუკიდებლობა) ხალხების მთავარი საფრთხობელა იყო. ჯერ კიდევ 1905 წელს ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთი „მოგზაური“ წერდა:

**„კარგად ესმის ხალხს, რომ ავტონომია კავკასიაში, სადაც მრავალი სხვადასხვა ერებია ერთმანეთში არეული, მათთვის საზარალოა, რომ ეს ავტონომია მოასწავებს ერთი მეორეზე გაბატონებას, შუღლსა და მტრობას, უკეთ რომ ვთქვათ — კაცთა მჭამელობას“.**

## XIX საუკუნეში

რთულია აფხაზეთის მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ აფხაზეთში რუსული მმართველობა 1864 წლიდან დამკვიდრდა, რეფორმამდელ პერიოდში კი კამერალური აღწერები არ ტარდებოდა.

მუჰაჯირების მემორიალი სოხუმში

წყაროების შეჯერებით, პროფესორი ვახტანგ ჯაოშვილი ასკვნის, რომ 1800 წლისთვის აფხაზების რაოდენობა 52 ათასი უნდა ყოფილიყო, 1864 წლისათვის კი, ვიდრე მუჰაჯირობა დაიწყებოდა — 60 ათასი.

ამასთან, როგორც ვახტანგ ჯაოშვილი შენიშნავს, „აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედი აფხაზებზე, ხოლო ერთი მესამედი ქართველებზე მოდიოდა“ (საქართველოს მოსახლეობა XVII—XX სს. 1984 წ.).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამ და რუსული მმართველობის შემოღებამ მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც 1866 წლის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

ცარისტულმა ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება და 1867 წელს 15 ათასზე მეტი აფხაზი იძულებით გადაასახლა (არაბ. „მუჰაჯერეთ“ — გადასახლება) თურქეთში.

კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „თურქეთში აფხაზთა გადასახლების განზრახვის მთავარი მიზანი ჩვენი საზღვრებიდან მოსახლეობის იმ ნაწილის განდევნაში მდგომარეობს, რომელიც ჩვენდამი ყველაზე უფრო მტრულად განწყობილ ელემენტებს შეიცავს“.

მუჰაჯირობის მორიგი ტალღა გამოიწვია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა. რუსეთის ხელისუფლებამ სახელმწიფო ღალატში დამნაშავედ გამოაცხადა და თურქეთში გაასახლა 32 ათასამდე აფხაზი.

**„აფხაზების დაახლოებით ნახევარი 1866-1878 წლებში თურქეთში გადაასახლეს. მთელი რიგი დასახლებული პუნქტები სრულიად დაცლილი აღმოჩნდა. დაიწყო ამ მიწებზე გარედან მოსული მიგრანტების ჩასახლება. მნიშვნელოვან კონტინგენტს შეადგენდნენ თურქეთიდან მოსული სომხები და ბერძნები, რომლებიც სახლდებოდნენ დღევანდელი სოხუმის, გულრიფშის და გაგრის რაიონების ტერიტორიაზე, ჩამოსახლდნენ რუსები და ესტონელები, შეივსო აგრეთვე მკვიდრი ქართველების რიცხვი სხვადასხვა კუთხიდან, უპირატესად სამეგრელოდან და სვანეთიდან“,** — წერს ვახტანგ ჯაოშვილი.

1897 წელს ჩატარებული აღრიცხვით აფხაზეთში („სოხუმის ოლქში“) 107 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 1916 წელს კი — 148 ათასი.

აფხაზეთისთვის 1864-1921 წლების მოვლენების შეჯამებისას, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აკაკი ბაქრაძე ამბობდა, რომ აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ორი ძირეული ცვლილება მოხდა:

- **აფხაზთა ერთი ნახევარი თურქეთში გადასახლდა და არსებითად გათურქდა;**
- **აფხაზთა მეორე ნახევარი, მართალია შინ დარჩა, მაგრამ ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წყალობით, გარუსდა და ქართული ეროვნული სამყაროდან გადავიდა რუსულ ეროვნულ სამყაროში.**

## XX საუკუნეში

1916 **წლის** აღწერით, აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში ქართველების წილი იყო 55,6%, აფხაზებისა კი — 33,3%.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. **სერგო ორჯონიკიძისა** და **სტალინის** თანხმობით აფხაზმა ბოლშევიკებმა აფხაზეთი საქართველოდან გამოყვეს და მას „დამოუკიდებელი“ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭეს.

**„შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა აფხაზეთმა, სადაც უმრავლესობა ქართველები არიან და „ავტონომია“ გამოაცხადა რუსულის საქმის წარმოებით, რუსი ჩინოვნიკების წყალობით, რუსული ორიენტაციით“,** — წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი სტატიაში „ EST MODUS IN REBUS“ („ყოველივეს ზომა აქვს“).

1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობა 201 ათასია, მათ შორის ქართველი — 67,5 ათასი, აფხაზი — 55,9 ათასი, რუსი — 12,5 ათასი, ბერძენი — 14 ათასი, სომეხი — 25,7 ათასი. როგორც აფხაზი ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძე წერს „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევებში“, ამავე აღწერით ქალაქ სოხუმში მხოლოდ 600 აფხაზი ცხოვრობდა, სოხუმის რაიონში კი — 1515.

**„1939 წელს ჩატარებულმა მომდევნო აღწერამ ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები დააფიქსირა. სოხუმის რაიონის სოფლებში აფხაზეთის მოსახლეობა ოდნავ გაიზარდა და 1900 კაცი შეადგინა, ქალაქ სოხუმში კი 4-ჯერ გაიზარდა და 2415 ადამიანს მიაღწია“,** — წერს ზურაბ ანჩაბაძე, რომელიც იქვე მიმოიხილავს ავ-

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

### ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 მაისის N726 განკარგულების (შემდგომში - განკარგულება) საფუძველზე ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგვზიანში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო და ჩქაროსნულ ავტომაგისტრალთან მიერთების (ჯამში - საერთო სიგრძით 1.2 კმ) მოწყობის სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ვაჟა ბელთაძის (პ/ნ 26001022849), ლოლა ბელთაძის (პ/ნ 26001032220), მალხაზ ბელთაძის (პ/ნ 26001022850) და ნანა ბელთაძის(პ/ნ 26001010628) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგვზიანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2500 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 152 კვ. მეტრი (ს/კ 27.14.46.904), მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობები (ღობე - მავთულბადე რკინის ბოძი, ცოკოლი, ჭიშკარი-რკინის) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 10 აგვისტოს 1-1/345 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ვაჟა ბელთაძის (პ/ნ 26001022849), ლოლა ბელთაძის (პ/ნ 26001032220), მალხაზ ბელთაძის (პ/ნ 26001022850) და ნანა ბელთაძის(პ/ნ 26001010628) თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგვზიანში მდებარე, სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების, 2500 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 152 კვ. მეტრზე (ს/კ 27.14.46.904), მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებსა (ღობე - მავთულბადე რკინის ბოძი, ცოკოლი, ჭიშკარი-რკინის) და მრავალწლიან ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

### ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 მაისის N726 განკარგულების (შემდგომში - განკარგულება) საფუძველზე ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგვზიანში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო და ჩქაროსნულ ავტომაგისტრალთან მიერთების (ჯამში - საერთო სიგრძით 1.2 კმ) მოწყობის სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების დავით მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001001672), ვენერა მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001023587), ლია მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001037895), მზია მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001023176) და ნანა მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001032634) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგვზიანში მდებარე, სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების, 2 379 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.14.45.409) ნაწილი - 1 813 კვ. მეტრი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ღობე - მავრთულხლართი ხის ბოძებით, ღობე - ბამბუკის) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 10 აგვისტოს 1-1/345 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების დავით მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001001672), ვენერა მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001023587), ლია მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001037895), მზია მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001023176) და ნანა მოისწრაფეშვილის (პ/ნ 26001032634) თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგვზიანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2 379 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.14.45.409) ნაწილზე - 1 813 კვ. მეტრზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (ღობე - მავრთულხლართი ხის ბოძებით, ღობე - ბამბუკის).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და რიცხოვნების ცვლილებას:

**„1939 წლისთვის აფხაზეთის მთლიანმა მოსახლეობამ მიაღწია 312 ათასს (გაიზარდა 1,5—ჯერ 1926 წელთან შედარებით), რომელიც ეროვნებების მიხედვით ასე განაწილდა: აფხაზები — 56,2 ათასი, ქართველები — 92 ათასი, რუსები — 60,2 ათასი, სომხები — 49,7 ათასი, ბერძნები — 34,6 ათასი, უკრაინელები — 8,6 ათასი, ებრაელები — 2 ათასი, სხვები — 8,6 ათასი“.**

**1939 წლის აღწერამ ასევე აჩვენა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქად მცხოვრები ადამიანების წილი 15%-დან 28,2%-მდე. ამასთან, ქალაქად ცხოვრობდა: აფხაზი — 7,5 ათასი, ქართველი — 19,8 ათასი, რუსი — 36,1 ათასი, ბერძენი — 7,6 ათასი, სომეხი — 6,6 ათასი, უკრაინელი — 5,3 ათასი, ებრაელი — 1,8 ათასი.**

**აფხაზეთის მოსახლეობის კიდევ უფრო მკვეთრი ზრდა გამოვლინდა 1959 წელს. 1939 წელთან შედარებით მოსახლეობამ 92,8 ათასით მოიმატა და 404,7 ათასი შეადგინა, ეთნიკურად მოსახლეობა ასე გადანაწილდა: აფხაზები — 61,2 ათასი, ქართველები — 158,2 ათასი, რუსები — 86,7 ათასი, სომხები — 64,4 ათასი, უკრაინელები — 11,5 ათასი, ბერძნები — 9 ათასი, ებრაელები — 2,8 ათასი და ა.შ.**

**1989 წელს, როცა საბჭოთა კავშირში ბოლო საყოველთაო აღწერა ჩატარდა, აფხაზეთში 525 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის:**

**239,8 ათასი ქართველი (45,7 %); 93,3 ათასი — აფხაზი (17,8 %); 74,9 ათასი — რუსი (14,3%); 76,5 ათასი — სომეხი (14,6 %); 14,6 ათასი — ბერძენი (2,8%).**

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ზრდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ისევე, როგორც იზრდებოდა სხვა ეთნოსების რაოდენობაც, რაც დიდწილად მიგრაციულ პროცესებთან (ჩასახლებასთან) იყო დაკავშირებული, თუმცა აფხაზური საზოგადოება განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა ქართული მოსახლეობის ზრდას. ამ განცდებს ვერაფერი უშველა აფხაზებისთვის „სატიტულე ერის“ სტატუსისა და კანონით გათვალისწინებული პრივილეგიების მინიჭებამ: **გარდა იმისა, რომ მინისტრებისა და რაიკომის მდივნების 2/3 ეთნიკური აფხაზი უნდა ყოფილიყო, საარჩევნო კანონი 65-ადგილიან საკანონმდებლო ორგანოში 28 მანდატს ანიჭებდა აფხაზებს (მოსახლეობის 17%), 26-ს — ქართველებს (მოსახლეობის 46%) და 11-ს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს.**

ქართველი ისტორიკოსების ნაწილი აფხაზეთში ქართული კომპონენტის ზრდას შესაბამის პერიოდში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს უკავშირებს.

**„საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა მოსახლეობის ჩასახლება დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან, თუმცა მას არ ჰქონია ინფილტრაციის ხასიათი. ქართველების ჩასახლება გამოუყენებელ მიწის მასივებზე მოხდა. იმავდროულად, მიმდინარეობდა რუსების, უკრაინელების, სომხების და სხვათა შემოდინების პროცესი. ეს ფაქტი გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით: ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარება — სამრეწველო საწარმოების შექმნა, მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, პირველ რიგში, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციაში შესვლა, — მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ავტონომიური რესპუბლიკის გარედან მუშახელსა და კვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს მოითხოვდა. ამის გამო აფხაზთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა“** (ბეჟან ხორავა, „ეთნიკური პროცესები აფხაზეთში“).

თუმცა ისტორიკოსების ნაწილს ეჭვი არ ეპარება, რომ აფხაზების შიში საფუძვლიანი იყო და, რომ ლავრენტი ბერიას მიერ აღებული „ჩასახლების კურსი“ აფხაზური ეთნოელემენტის მინიმუმამდე დაყვანას ისახავდა მიზნად.

## XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. ანტიქართული აფხაზური პროტესტის ერთ-ერთ პირველ სერიოზულ გამოვლინებას ადგილი ჰქონდა 1950-იან წლებში, როცა დიდი პროტესტი გამოიწვია 1954 წელს გამოქვეყნებულმა პავლე ინგოროყვას ფუნდამენტურმა ნაშრომმა „გიორგი მერჩულე“, რომელშიც მეცნიერი ავითარებდა აზრს, რომ თანამედროვე აფხაზები არ იყვნენ ადრეული „აბაზგ-აფსილებისა“ და ადრეული შუა საუკუნეების „აფხაზების“ შთამომავლები.

**ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში მძიმე პროცესები განვითარდა 1957, 1967, 1978 და 1989 წლებში (მნიშვნელოვან ნეგატიურ როლს თამაშობდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა და სპეცსამსახურები), რაც 1992-1993 წლების ომითა და ქართველთა ეთნოწმენდით გაგრძელდა. 2018 წლის აღწერის მისედვით, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს 244, 8 ათასი ადამიანი, რომელთაგან 122,1 ათასი (50,7%) აფხაზია, 46,4 ათასი (19,3%) — ქართველი, 41,8 ათასი (17,4%) — სომეხი, 22,1 ათასი (9,1%) — რუსი, 1,4 ათასი (0,6%) — ბერძენი.**

**ᲕᲮᲘᲛᲨᲔᲠ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი**

◎ ტატამზე



# ზურაბ მხსნელი

**უკვე გაუწყეთ, რომ ეკვადორის ქალაქ გუაიაკილში დაწყებული ძიუდოისტთა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის სტარტზე გიორგი სარდალაშვილი ვერცხლს, თორნიკე მაზიაშვილი (ორივე – 60) კი ბრინჯაოს დაეუფლნენ. ფორუმის მეორე დღეს „ჯვაროსნებს“ კიდევ ერთი ვერცხლი გიორგი ტერაშვილმა (73) მოუპოვა, რომელმაც მასპინძელ, გერმანელ, მაროკოელ და უნგრელ მეტოქეთა ძლევის შემდეგ ფინალური ბრძოლა იაპონელ რიუგა ტანაკასთან დათმო, ხოლო ფინიშზე შალვა გურეშიძემ (+100) ბრინჯაო დაიმსახურა.**

არანაკლები რეზონანსი მოჰყვა ტატამის ტუნისელი ოსტატი გოგონას მონაწილეობით მომხდარ ინციდენტს, რომელსაც მხსნელად ქართველი თეთრხალათიანი **ზურაბ კახაბრიშვილი** მოევლინა:

„ზურაბ კახაბრიშვილმა აფრიკელი ძიუდოისტი სიკვდილს გადაარჩინა. მან გონება მას შემდეგ დაკარგა, რაც მოწინააღმდეგემ გდება ჩაუტარა. მცირე პაუზის შემდეგ მსაჯმა სარბიელზე სამედიცინო პერსონალი გამოიძახა, რომელიც ვითარებაში ვერ გაერკვა. სწორედ ამ დროს მასთან სწრაფად მიირბინა ზურაბ კახაბრიშვილმა და ხელოვნური სუნთქვითა და გულის მასაჟით იხსნა“.

◎ ევრობასკეტი

# დათესილს იმკის

**გერმანიის ნაკრებმა გამოაცხადა, რომ 1 სექტემბერს საფრანგეთთან ევრობასკეტის გახსნის მატჩის წინ (კიოლნის ჯგუფი) სპეციალური ცერემონია გაიმართება, რომელიც ლეგენდარულ ფორვარდ დირკ ნოვიცკის მიეძღვნება.**

ეს იქნება პირველი შემთხვევა სანაკრებო ისტორიაში, როცა ეროვნული გუნდი ბრუნვიდან სათამაშო ნომერს ამოიღებს. ნოვიცკი 14-ნომრიანი მაისურით „ბუნდესმანშაფტში“ 2002 წლის მუნდიალის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, 2005 წლის ევრობასკეტზე კი ვერცხლი მოიხვეჭა.

**„ფედერაციის აღნიშნული გადაწყვეტილება ჩემთვის დიდი პატივი და ძალზედ სასიამოვნო სიურპრიზია. მოუთმენლად ველი ევროპის ჩემპიონატის საუცხოო მატჩებს და ვიმედოვნებ, რომ გულშემატკივრები დარბაზების შევსებით საუცხოო ატმოსფეროს შექმნიან“,** – აცხადებს მადლიერი სნაიპერი.

დავძენთ, რომ წლეულსვე იანვარში „დალასმა“, ვის რიგებშიც ნოვიცკიმ 2011 წელს ნბა მოიგო, მისი 41-ნომრიანი მაისური ბრუნვიდან ასევე ამოიღო.

ამასობაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მოახლოებული ევრობასკეტის წინ თბილისში გამართული მორიგი სპარინგები ისრაელის გუნდთან დათმო – 96:104 და 68:81 (დახურული მატჩი).

პირველ შეხვედრაში პარტნიორებს 26 ქულით, 9 პასითა და 6 მოხსნით **თორნიკე შენგელიამ** ულიდერა, ხოლო მეორეში 16 ქულით – **სანდრო მამუკელაშვილმა.**

◎ ლეგიონერები

# ქართველთა კალენდარი

**როგორც იქნა, წერტილი დაესვა გაჭიანურებულ მოლოდინს და კახი კალაძისა და ლევან მჭედლიძის გაკვალულ ბილიკს „სერია-ა“-ში კიდევ ორი ქართველი ლეგიონერი შეუყვა – ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“) და ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“).**

ბუნებრივია, ვითვალისწინებთ თანამემამულეთა ქომაგთა ინტერესს და გთავაზობთ იტალიის ჩემპიონატში ჩვენებურთა კლუბების შეხვედრათა კალენდარს.

**20-22 აგვისტო.** ნაპოლი – მონცა, რომა – კრემონეზე. **26-28 აგვისტო.** ფიორენტინა – ნაპოლი, კრემონეზე – ტორინო. **30 აგვისტო – 1 სექტემბერი.** ნაპოლი – ლეჩე, ინტერი – კრემონეზე. **3-5 სექტემბერი.** ლაციო – ნაპოლი, კრემონეზე – სასუოლო. **10-11 სექტემბერი.** მილანი – ნაპოლი, კრემონეზე – ლაციო. **1-2 ოქტომბერი.** ნაპოლი – ტორინო, ლეჩე – კრემონეზე. **8-9 ოქტომბერი.** კრემონეზე – ნაპოლი. **15-16 ოქტომბერი.** ნაპოლი – ბოლონია, სპეცია – კრემონეზე. **22-23 ოქტომბერი.** რომა – ნაპოლი, კრემონეზე – სამპდორია. **29-30 ოქტომბერი.** ნაპოლი – სასუოლო, კრემონეზე – უდინეზე. **5-6 ნოემბერი.** ატალანტა – ნაპოლი, სალერნიტანა – კრემონეზე. **9 ნოემბერი.** ნაპოლი – ემპოლი, კრემონეზე – მილანი. **12-13 ნოემბერი.** ნაპოლი – უდინეზე, ემპოლი – კრემონეზე. **3-4 იანვარი.** ინტერი – ნაპოლი, კრემონეზე – იუვენტუსი. **7-8 იანვარი.** სამპდორია – ნაპოლი, ვერონა – კრემონეზე. **14-15 იანვარი.** ნაპოლი – იუვენტუსი, კრემონეზე – მონცა. **21-22 იანვარი.** სალერნიტანა – ნაპოლი, ბოლონია – კრემონეზე. **28-29 იანვარი.** ნაპოლი – რომა, კრემონეზე – ინტერი. **4-5 თებერვალი.** სპეცია – ნაპოლი, კრემონეზე – ლეჩე. **11-12 თებერვალი.** ნაპოლი – კრემონეზე. **18-19 თებერვალი.** სასუოლო – ნაპოლი, ტორინო – კრემონეზე. **25-26 თებერვალი.** ემპოლი – ნაპოლი, კრემონეზე – რომა. **4-5 მარტი.** ნაპოლი – ლაციო, სასუოლო – კრემონეზე.**11-12 მარტი.** ნაპოლი – ატალანტა, კრემონეზე – ფიორენტინა. **18-19 მარტი.** ტორინო – ნაპოლი, მონცა – კრემონეზე. **1-2 აპრილი.** ნაპოლი – მილანი, კრემონეზე – ატალანტა. **8-9 აპრილი.** ლეჩე – ნაპოლი, სამპდორია – კრემონეზე. **15-16 აპრილი.** ნაპოლი – ვერონა, კრემონეზე – ემპოლი. **22-23 აპრილი.** იუვენტუსი – ნაპოლი, უდინეზე – კრემონეზე. **29-30 აპრილი.** ნაპოლი – სალერნიტანა, კრემონეზე – ვერონა. 3 მაისი. უდინეზე – ნაპოლი, მილანი – კრემონეზე. **6-7 მაისი.** ნაპოლი – ფიორენტინა, კრემონეზე – სპეცია. **13-14 მაისი.** მონცა – ნაპოლი, იუვენტუსი – კრემონეზე. **20-21 მაისი.** ნაპოლი – ინტერი, კრემონეზე – ბოლონია. **27-28 მაისი.** ბოლონია – ნაპოლი, ლაციო – კრემონეზე. **3-4 ივნისი.** ნაპოლი – სამპდორია, კრემონეზე – სალერნიტანა.

◎ სად – ჩვენ, სად – ისინი

# ნერწყვი ვყლაპოთ

**მართალია, ქართული კვარტეტი ჩვეული ოპერატიულობით დაემშვიდობა საფეხბურთო ელიტას, მაგრამ პოპულარულ საკლუბო ევროტურნირებს ინტრიგა მაინც არ დაუკარგავს, ამიტომ გთავაზობთ დასკვნითი რაუნდის პლეი-ოფების განრიგს.**

### ჩემპიონთა ლიგა
**16-17 და 23-24 აგვისტო**

ბოდო გლიმტი – ზაგრების დინამო, კოპენჰაგენი – ტრაბზონსფორი, რეინჯერსი – ეინდჰოვენი, ყარაბაღი – პლზენი, ჰაიფას მაკაბი – ცრვენა ზვეზდა, კიევის დინამო – ბენფიკა.

### ევროპის ლიგა
**18 და 25 აგვისტო**

ფერენცვაროში – შემროკი, აპოლონი – ოლიმპიაკოსი, დნიპრო – აეკ, პიუნიკი – შერიფი, ლუდოგორეცი – ჟალგირისი, გენტი – ომონია, მალმიო – სივასფორი, ჰიკ – სილკებორგი, ციურიხი – ჰართსი, აუსტრია – ფენერბახჩე.

### კონფერენსლიგა
**18 და 25 აგვისტო**

აპოელ – იურგორდენი, ალკმაარი – ჟილ ვისენტე, ბაშაქშეჰირი – ანტვერპენი, სოფიის ცსკა – ბაზელი, კიოლნი – ფეჰერვარი, სტიაუა – ვიკინგი, ფიორენტინა – ტვენტე, ლეხი – დიუდელანჟი, თელ ავივის მაკაბი – ნიცა, მიოლდე – ვოლფსბერგერი, რაკუვი – სლავია, მარიბორი – კლუჟი, კრაიოვა – ჰაპოელი, ვადუცი – რაპიდი, იანგ ბოიზი – ანდერლეხტი, ვილიარეალი – ჰაიდუკი, ვესტ ჰემი – ვიბორგი, შკუპი – ბალკანი, სლოვაცკო – აიკ, პარტიზანი – ჰამრუნი, ზრინსკი – სლოვანი, რფს – ლინფილდი.

◎ კორტზე

# ტაქტიკური გაკვეთილი

**მონრეალის მასტერსის მეორე წრის მთავარ მოვლენად უიმბლდონის ფინალისტის ნიკ კირგიოსის გამარჯვება იქცა მსოფლიოს პირველ ჩოგან დანიილ მედვედევთან – 6:7, 6:4, 6:2. შეხვედრის შემდეგ ავსტრალიელმა გულახდილად ისაუბრა მატჩისწინა განცდებსა და ტაქტიკურ ჩანაფიქრზე:**

„ფავორიტთან ბრძოლამდე ოდნავ ვღელავდი. ვერ ვიტყვი, რომ თამაშის დღეს ძალზე ბედნიერმა გავიღვიძე – მე ხომ მედვედევთან მიწევდა გამოცდის ჩაბარება.

ასეა თუ ისე, მატჩისთვის მკვეთრად მოხაზული ტაქტიკა მქონდა – არ ვაპირებდი მისთვის სივრცის დათმობას და არ ვაძლევდი რითმში შესვლის უფლებას.

პირიქით, ფსონი მის გატეხვაზე გავაკეთე, კარგად ვიმუშავე ფორჰენდზე და მიზანს მივაღწიე. ცხადია, არ ვიყავი აღნიშნული შეხვედრის ფავორიტი, მაგრამ სასიამოვნოა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი დავამარცხე“.

დავძენთ, რომ ტურნირს ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშა საერთაშორისო რეიტინგის კიდევ ერთი ლიდერთაგანი **სტეფანოს ციციპასი.**

# აზერბაიჯანში ახალი ხელბურთის კლუბი დაარსდა

**Apasport.az-ის ცნობით, გუნდი, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისგან შედგება, სადებიუტო სეზონში „ჰარიბიულბიულის“ სახელით იასპარეზებს.**

ახალი გუნდის მიზანია ყარაბაღის მეორე ომის სიმბოლოდ ქცეული ჰარიბიულბიულის პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე, სათანადოდ წარმოაჩინოს აზერბაიჯანი და წვლილი შეიტანოს სპორტის სამყაროში ამ სახელის მაქსიმალურად პოპულარიზაციაში. „ჰარიბიულბიული“ ახალი სეზონიდან ამ მიზნით გრძელ მარათონს დაიწყებს. კლუბი თავის გამოჩენას ჯერ აზერბაიჯანის უმაღლეს ლიგაში, შემდეგ ევროთასებზე ეცდება. „ჰარიბიულბიულის“ სამომავლო გეგმებში შედის ხელბურთელ ქალთა გუნდის ჩამოყალიბება და მსოფლიო დონის კლუბად გადაქცევა.

აზერბაიჯანის დროშისა და ჰარიბიულბიულის ფერების გარდა, ელეგანტურ დიზაინში შესრულებული გუნდის ემბლემაში ყარაბაღის მეორე ომში დაღუპულთა რიცხვია აღნიშნული. „ჰარიბიულბიულის“ პრეზიდენტი ფატიმა ჰაჯიევა იქნება. მედიცინის ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, რომელიც წარმოშობით მარნეულიდანაა. ის აზერბაიჯანული ხელბურთის ისტორიაში შევა, როგორც პირველი მთავარი მწვრთნელი ქალი. გუნდის დამფუძნებელია ილგარ იმამგულიევი, საერთაშორისო სპორტული აგენტი, ქვეყნის პირველი და ერთადერთი სპორტული ბრენდის II'Azero-ს მფლობელი, რომელიც ასევე ითამაშებს კლუბში.

აღსანიშნავია, რომ „ჰარიბიულბიულმა“ ახალი სეზონისთვის სატრანსფერო სამუშაოები უკვე დაიწყო. გუნდის მიზანი სადებიუტო სეზონში ჩემპიონობაა.

# საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების რიცხვი თითქმის 200 პროცენტით გაიზარდა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე ალირიცხა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 1 049.4 ათასი შემოსვლა, რაც 198.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.**

საქსტატის ცნობით, შემოსავლების უდიდესი ნაწილი, 47.0 პროცენტი განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

**„2022 წლის მეორე კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 765.3 ათასს მიაღწია,რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 189.4 პროცენტით არის გაზრდილი. საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 749.3 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 145.0 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.**

**საერთაშორისო ვიზიტორების 81.8 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 14.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 3.5 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი. 2022 წლის მეორე კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 147.7 ათასი დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 19.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა თურქეთი 14.9%-იანი წილით, ხოლო მესამეზე — სომხეთი 12.1%-იანი წილით.**

**ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ა/რ-ში, შესაბამისად, 512.7ათასი და 375.3 ათასი ვიზიტი. 2022 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 6.2 ღამე შეადგინა. განხორციელებული ვიზიტების 70.5 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს“,** — აღნიშნულია საქსტატის ინფორმაციაში.

## საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# გადაწყვეტილება

## არბიტრაჟის სახელით

**საქმე №01-316/2021**

**ქ. თბილისი** **4 ივლისი, 2022 წელი**

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე** — მამუკა ღვინიაშვილი

**რეგისტრატორი** — ქეთევან დუმბაძე

**მოსარჩელე** — ს/ს ,,ბაზისბანკი" (ს/ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას" უფლებამონაცვლე)

**წარმომადგენელი** — მედეა სულაქველიძე

**მოპასუხე** — გიორგი ჩენდლერი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-9, 28-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე :**

1. ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" უფლებამონაცვლის ს/ს „ბაზისბანკის" საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. გიორგი ჩენდლერს ს/ს „ბაზისბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს 182488.66 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც 181379.45 აშშ დოლარი არის ძირითადი თანხა, 1078.34 აშშ დოლარი პროცენტი, 30.87 აშშ დოლარი პირგასამტეხლო. მასვე დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 15625.57 ლარის გადახდა ს/ს „ბაზისბანკის" სასარგებლოდ.

3. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დადგინდეს გიორგი ჩენდლერის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების, მდებარე ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 83/ქ. თბილისი, კლდიაშვილის ქ. 5, სართული 1, ბინა 2 (საკადასტრო კოდი: 01.16.01.019.008.01.002); ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 83/ქ. თბილისი, კლდიაშვილის ქ. 5, სართული 1, ბინა 1 (საკადასტრო კოდი: 01.16.01.019.008.01.501) და ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 83/ქ. თბილისი, კლდიაშვილის ქ. 5, სარდაფი (საკადასტრო კოდი: 01.16.01.019.008.01.506) რეალიზაცია აუქციონზე. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნების რეალიზაციით სრულად არ დაკმაყოფილდება ს/ს „ბაზისბანკის" მოთხოვნა აღსრულება მიექცეს გიორგი ჩენდლერის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე.

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

## სანთელი



**გივი, თემურ ცაგარელები, არჩილ გოგელია, როლანდ გილიგაშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი, ზურაბ კუპრაშვილი, ვლადიმერ ბენიაშვილი, ბაკურ გულუა,თემურ ხორხოძელიძე, ომარ კაჭარავა, მალხაზ დოლიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, გურამ კოსტავა, ირაკლი მელაძე, ზაზა მჭედლიძე, დავით სახვაძე, ლევან ჯიბუტი, ჯემალ კალანდაძე, ფრიდონ სულაბერიძე, თამაზ კიკალიშვილი, გურამ სალარაძე, თენგიზ უთმელიძე, თინიკო ყალიჩავა, ნინა ბარნოვა, მარიტა ბოკუჩავა ოჯახებით იუწყებიან, რომ მოსკოვში 93 წლის ასაკში გარდაიცვალა იური ოსიპოვის ძმა — ცნობილი ინჟინერ-მშენებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

# ვიქტორ ოსიპოვი

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ნათესავებს.**

---

**სს „თბილისის მაკარონის ფაბრიკის“ კოლექტივი უსამძიმრებს ბ-ნ იური ოსიპოვს ძმის**

# ვიქტორ ოსიპოვის

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ იური ოსიპოვს ძმის**

# ვიქტორ ოსიპოვის

**გარდაცვალების გამო.**

# ლეგენდარული მფრინავის, ჯიმი მაისურაძის სახელობის სკვერი ლაგოდეხში

ქალაქ ლაგოდეხში ლეგენდარული მფრინავის, ჯიმი მაისურაძის სახელობის სკვერი საზეიმოდ გაიხსნა.

**„ქალაქის ცენტრში არსებული თანამედროვე, სარეკრეაციო სივრცე,როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე მუნიციპალიტეტის ვიზიტორებისათვის, მიზიდულობის ახალი ცენტრი გახდება“,** — აცხადებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

ჯიმი მაისურაძის სახელობის დასასვენებელ სკვერს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მოეწყო საბავშვო ატრაქციონების სივრცე და შადრევანი. დამონტაჟდა სკამები, გარე განათება, სანაგვე urნები და ახალი, დეკორატიული ლითონის ღობე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე, სკვერის მიმდებარე, სპორტულ მოედანს; დაიგო მულტიფუნქციური საფარი; დამონტაჟდა ახალი კალათბურთის ფარები; მოეწყო ტრიბუნა.

პროექტი, საპილოტე რეგიონების, ინტეგრირებული განვითარების პროგრამისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 723984,22 ლარია.

# „ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲘᲡ“ — ᲜᲘᲙᲝ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

**ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ წიგნის პრეზენტაცია 13 აგვისტოს გაიმართა. „მომავლის ბიჭი“, — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც ნიკოს მიერ 14 წლის ასაკში შექმნილი წიგნის გაგრძელებაა. მკითხველი ეზიარება მის ხანმოკლე, თუმცა ძალიან საინტერესო და წარმატებული ცხოვრების ისტორიას. გამოცემაში თავისი მეგობრების მონათხრობებსაც გაეცნობით და ჯერ კიდევ საზოგადოებისთვის უცნობ მის ნახატებს იხილავთ.**

ბიჭი, რომელმაც დროს აჯობა, ონლაინ-პლატფორმა Feedc-ის დამფუძნებელია. სოციალური მედიის პლატფორმა, თანამოაზრეებთან ერთად 2019 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა შექმნა. პლატფორმის მიზანი სოციალური ქსელების „უსამართლო“ მიდგომის შეცვლა იყო, რათა ყველა ადამიანს მისცემოდა ინფორმაციის გავრცელების თანაბარი შესაძლებლობა — იქნებოდა ეს მომხმარებელი, რომელსაც ბევრი მეგობარი თუ გამომწერი ჰყავს, თუ ადამიანი, რომელიც სოციალურ ქსელებში ნაკლებად პოპულარულია. ნიკო კვარაცხელია Forbes-ის 30 Under 30-ის გამარჯვებულიც გახლდათ.

ნიკო არ გახლდათ სტივ ჯობსი, არც ილონ მასკი — ის გაცილებით დიდი იყო — ასე წერენ დღემდე მასზე... უმძიმესი ფაქტია, რომ ასეთ ადამიანებს თვალისდაუხამხამებლად გვიკლავენ ვიღაც ნაძირალები. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, კიდევ ერთი კომფორტული დასასვენებელი ადგილი მოეწყობა, რომელიც ნიკო კვარაცხელიას სახელობის იქნება. 12 აგვისტოს ნიკო 23 წლის გახდებოდა.

# ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲣᲕᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ



**ᲝᲠᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ახალგაზრდა ბიზნესმენმა, ნიკოლოზ გვარაძემ და ივანე მთიბელიშვილმა ჩვენს ქვეყანაში მწვანილისა და დეფიციტური მცენარეული კულტურის აეროპონიკის სისტემით ვერტიკალური სათბური მოაწყვეს. „უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგს არ ვიყენებთ და აღნიშნული კულტურები წყალზე მოგვყავს. ყველაფერს ტელეფონით ვაკონტროლებ. ჰავას და შუქს კომპიუტერები აკონტროლებენ. ადამიანების ჩარევა მხოლოდ დათესვისას და მცენარეების აღებისას არის საჭირო“,** — ამბობს კომპანია „ჰაი გარდენსის“ დამაარსებელი ნიკოლოზ გვარაძე.

მსგავსი ტექნოლოგია პირველად NASA-ში დაინერგა. ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში ძალიან ბევრი მსგავსი წარმოებაა. რაც შეეხება თავად სისტემას, ის ხელმისაწვდომია, როგორც ამერიკაში, ისე ჩინეთში. მათ 100 000 დოლარიანი ინვესტიცია ამერიკელი ინვესტორისგან მოიზიდეს. საქმე სულ რაღაც 1,5 თვეა დაიწყეს და უკვე თბილისის მასშტაბით 15 რესტორანს ამარაგებენ. სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ საქართველოს ბაზრის ათვისება, რადგან მათ მიკრო მწვანილებზე და ჰორეკა პროდუქციაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია.

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ

**ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ საერთაშორისო ფესტივალი თელავში წელს 24.09-1.10 გაიმართება. მსმენელის წინაშე წარდგებიან გამოჩენილი პიანისტები ელისო ვირსალაძე და დანგ ტაი შონი, ასევე საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები მევიოლინეები სტელა ჩენი, ტიმოთე ჩოი და ანდრეი ბარანოვი, ჩელისტები ალექსანდრ რუდინი, ალექსეი შადრინი და ალექსანდრ რამი.**

საფესტივალო ორკესტრს, რომლის შემადგენლობაში თბილისის სახელმწიფო კამერულ ორკესტრ „საქართველოს სინფონიეტასთან“ ერთად ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის და უცხოეთიდან მოწვეული მუსიკოსები იქნებიან, უდირიჟორებს ფესტივალის დიდი ხნის მეგობარი არიელ ცუკერმანი. და, როგორც ყოველთვის, სამუსიკო სკოლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის მასტერკლასებს ჩაატარებენ გამოჩენილი მუსიკოსები. უახლოეს დღეებში დაიწყება ბილეთების გაყიდვა biletebi.ge-ზე.

# ᲒᲐᲓᲘᲐᲚᲝᲛᲔᲑᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ

**ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ნიუ ჯერსიში, 52 წლის ქალმა $1,250 გადაიხადა ბილბორდის დასაქირავებლად, რათა საკუთარი ქალიშვილისთვის დიპლომის აღება საჯაროდ მიელოცა.**

ქალის 30 წლის შვილმა ფილადელფიის ოსტეოპათური მედიცინის კოლეჯი დაამთავრა და ექიმის წოდება მოიპოვა. **„5 წლის ასაკში, მან უკვე იცოდა, რომ ექიმობა სურდა“,** — ამბობს შვილის წარმატებით ამაყი დედა. კოლეჯის კურსდამთავრებული ამბობს, რომ დედისგან ასეთი საქციელი არ გაჰკვირვებია, რადგან შვილების ყოველ მიღწევას ქალი ორიგინალური მეთოდებით აღნიშნავს.

# 100 ᲐᲗᲐᲡᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

**ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ მილიარდერმა კაილი ჯენერმა 25 წლის იუბილე ბაჰამის კუნძულებზე აღნიშნა. გლამურულ წვეულებას იუბილარის მეგობრები და ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. კაილი ჯენერმა განსაკუთრებული საჩუქარი დედისგან მიიღო.**

კრის ჯენერმა შვილს 100 ათასდოლარიანი ჩანთა ჰერმეს ბირკინი აჩუქა. როგორც გაირკვა, მსოფლიოში ჩანთის ამ კონკრეტული მოდელის სულ სამი ასლი არსებობს და ახლა ის კაილი ჯენერის 1 მილიონი დოლარის ღირებულების ჩანთების უზარმაზარ კოლექციას შეემატება.

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲤᲘ�გᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ დიზაინერულმა კომპანია FCTRY-მ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის გამოსახულებით სათამაშო ფიგურა დაამზადა. 15 სმ-იანი თიხის პროტოტიპი სიეტლელმა მხატვარმა, მაიკ ლევიტმა შექმნა. პლასტმასში ფიგურის წარმოება ჩინეთში, სავარაუდოდ, მომავალი წლის მარტიდან დაიწყება.**

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ როგორც კი დააანონსა ფიგურის შექმნის იდეა, საწყისი წარმოებისთის საჭირო თანხა 30 000$ სულ რაღაც ერთ საათში შეაგროვა. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი გაყიდული სათამაშოდან 1 დოლარი უკრაინელ ლტოლვილებს მოხმარდება. FCTRY-ის აღმასრულებელმა და კრეატიულმა დირექტორმა, ჯეისონ ფაინბერგმა Reuters-ს განუცხადა, რომ კომპანიამ უცხოელი ლიდერის ფიგურა პირველად დაამზადა. თავად ზელენსკი ამ მომენტისთვის საკმაოდ შთამაგონებელი პერსონაჟია.

**სათამაშოები იმდენად სწრაფად გაიყიდა, რომ მისი მსოფლიოს მასშტაბით რეალიზება მალევე დაიგეგმა. შემოსული თანხის ნაწილის უკრაინის მხარდამჭერ ფონდში გადარიცხვით, ჩვენ მცირე თანადგომას ვუცხადებთ ომით დაზარალებულ ადამიანებს,** — ამბობს ჯეისონ ფაინბერგი.

მოამზადა
**ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐᲛ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲗᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲗᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ. 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ**

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7089; ᲔᲕᲠᲝ - 2.7880
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.2829;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4083; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1508;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5979;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6886.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +18, ᲓᲦᲔ +38
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +14, ᲓᲦᲔ +36
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +20, ᲓᲦᲔ +34
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +17 ᲓᲦᲔ +35
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +23, ᲓᲦᲔ +38

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge